ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 იანვრის №01-06/01
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.**

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი: როლანდი ბერიძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. **,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერის

2023 წლის საქმიანობის

ანგარიში

www.keda.gov.ge

წლის მიღწევები

- გაზიფიცირება
- პარკის რეაბილიტაცია
- სასწრაფოს ახალი შენობა
- ხანდაზმულთა კლუბი
- სპორტული ინფრასტრუქტურა
- ადმინისტრაციული ცენტრები
- წყლის სისტემა
- საბავშვო ბაღები

ბიუჯეტი

2023 წელს მთლიანი ვბიუჯეტის შესრულება **96,3** % -ია, მათ სორის კაპიტალური ტრანსფერით შესრულება **98,6** % -ს შეადგენს



	საწყისი	ფაქტი
2020	**11 631 356**	**11 650 163**
2021	**17 391 778**	**15 483 951**
2022	**21 501 754**	**18 890 629**
2023	**24 473 636**	**24 285 265**
2024	**25 687 300**	**00 000 000**

ახალი პარკი

დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა **N 13** და **15** ში მდებარე ტერიტორიაზე, დასრულდა ადაპტირებული და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი პარკის მშენებლობა.

ბიუჯეტი: 998 676 ლარი

მსხვილი პროექტები

- მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
  ბიუჯეტი: 603 200 ლარი;
- სასწრაფოს შენობა.
  ბიუჯეტი: 344 197 ლარი;
- ხანდაზმულთა კლუბი.
  ბიუჯეტი: 188 881 ლარი;
- აქუცის საავტომობილო გზა.
  ბიუჯეტი: 1 341 333 ლარი.

მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

სასწრაფოს შენობა

ხანდაზმულთა კლუბი

აქუცის საავტომობილო გზა

- **3** მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.
  ბიუჯეტი: 338 379 ლარი
- აშენდა **3** ფანჩატური
  ბიუჯეტი: 55 327 ლარი.
- შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია.
  ბიუჯეტი: 1 995 760 ლარი.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა **2** ხიდს.
  ბიუჯეტი: 148 778 ლარი.

მინი სპორტული მოედნები

ფაჩატურები

საგზაო ინფრასტრუქტურა

ხიდები

ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ ერთი ერთეული ტექნიკა, ჩუქუროვას ფირმის ექსკავატორ-დამტვირთველი შეიძინა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

მოეწყო 767 ერთეული გარე განათების ბოძი

დაეგო 1 259 კუბ.მ რკინა-ბეტონის საფარი

ბიუჯეტი: 750 000 ლარი.

გაზიფიცირება

აქტიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების პროექტი.

- ჩართულია: დაბა ქედის, სოფელი გულების და ზენდიდის 180 აბონენტი.
- მიმდინარეობს კოკოტაურის, ვარჯანისის, ზვარის, ცხემნის, ქვედა მახუნცეთის და სოფელი დოლოგნის დაქსელვის სამუშაოები.
- საპროექტო დასრულებულია და დაიწყება სამუშაოები შემდეგ სოფლებში: პ/მაისი, სოფელი დანდალო, ახო, ქვედა ბზუბზუ და სოფელი ჭინკაძეები.

ინფრასტრუქტურული პროექტები

- ორცვა-არსენაულის წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
  ბიუჯეტი: 714 450 ლარი;

- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.
  ბიუჯეტი: 52 835 ლარი;

- ადმინისტრაციული ცენტრების კეთილმოწყობა. (დანდალოს კიბე, მემორიალური დაფა და მიმდებარე ტერიტორია, მოსაცდელები, სოფლის სახლები, მახუნცეთის პარკი, ფრიდონ თურმანიძის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია და სხვა.)
  ბიუჯეტი: 342 673 ლარი.

ძველი საცხოვრებელი სახლის ახლით ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში **2023** წელს **3** ახალი სახლი აშენდა.

ბიუჯეტი: **163 998** ლარი.

გენდერის პროგრამა

ბიუჯეტი: 50 000 ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 12 ღონისძიება.
მათ შორის ,,ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების" პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 2023 წელს 30 000 ლარი იყო, ხოლო 2024 წელს გაიზარდა და 45 000 ლარს შეადგენს.

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში:

- გაიმართა საინფორმაციო კამპანია;
- ჩატარდა იდეების კენჭისყრა, რომელშიც **4 269** მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა;
- შემოვიდა **140** და დაკმაყოფილდა **126** იდეა.

გამარჯვებული პროექტები **2024** წელში განხორციელდება.

ბიუჯეტი: 1 500 000 ლარი.

შესყიდვები

სულ წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადდა **117** ელექტრონული ტენდერი. აქედან:

ა) ელექტრონული ტენდერების გზით გაფორმებულია **87** ხელშეკრულება;

ბ) პირდაპირი შესყიდვის გზით **90** ხელშეკრულება;

გ) კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით **48** ხელშეკრულება.

დადებითად დასრულდა **87** ტენდერი, არ შედგა **20** ტენდერი, ხოლო უარყოფითად დასრულდა **10** ტენდერი.

ქონება

საპრივატიზაციო ნუსხის შესაბამისად პრივატიზებულია **4** ერთეული ქონება, მათ შორის ორი ერთეული ავტომანქანა, ერთი მიწის ნაკვეთი და ერთი ერთეული არასაცხოვრებელი ფართი, რომელთა პრივატიზებით მიღებულია **11 978,55** ლარი.

- მუნიციპალურ ქონებად დარეგისტრირდა **17** ერთეული ქონება;
- სხვადასხვა უწყებებზე გადაცემულია **10** ერთეული ქონება.

ჯანდაცვის პროგრამები

2023 წელს დაემატა სამი ახალი პროგრამა

შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

ბიუჯეტი 108 297ლარი.
ისარგებლა 30 - მა ბენეფიციარმა.

18 წელზე მეტი ასაკის პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარება

ბიუჯეტი: 180 000 ლარი.
თითოეულზე 200 ლარი

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება

ბიუჯეტი: 2 400 ლარი.
1 მარტოხელა (თვეში 100 ლარი)

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები

- ,,სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა". **ბიუჯეტი: 32 000** ლარი. სულ **25** მოქალაქემ ისარგებლა;
- ,,ამბულატორიების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა''. **ბიუჯეტი: 138 700** ლარი;
- ,,უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარება" **ბიუჯეტი: 50 000** ლარი. ისარგებლა **68** ოჯახმა (თითოეულ ოჯახზე **500** ლარი);
- ,,ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა" **ბიუჯეტი: 32 800** ლარი. პროგრამით სარგებლობს **13** მოქალაქე;
- ,,ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების" პროგრამა". **ბიუჯეტი: 86 750** ლარი. სარგებლობს **230** ვეტერანი;
- ,,ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა". **ბიუჯეტი: 105 000** ლარი. ისარგებლა **64**-მა ოჯახმა. (თითიეულ ოჯახს **1 500** ლარი);
- ,,საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის" მიზნობრივი პროგრამა. **ბიუჯეტი: 100 000** ლარი. ისარგებლა **91**-მა ოჯახმა;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები

- ,,სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა“. **ბიუჯეტი: 160 665** ლარი;
- ,,თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის’’. **ბიუჯეტი: 93 600** ლარი. **50-60** ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მონახულება და სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდება.
- ,,სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/ რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა“. **ბიუჯეტი: 50 000** ლარი. სარგებლობს **46** ბენეფიციარი.
- ,,ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენა“. **ბიუჯეტი: 226 800** ლარი. დაკმაყოფილდა **4** ოჯახი;
- ,,0-და 18 წლამდე და 18 წელზე მეტი ასაკის პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა“ (0 და 18 წლამდე ასაკის პირებზე ყოველთვიურად **100** ლარის, ხოლო 18 წელზე ზემოთ - 200 ლარის ოდენობით). **ბიუჯეტი: 180 000** ლარი. სულ 120 ბენეფიციარი სარგებლობს;
- ,,ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება“ **ბიუჯეტი: 80 000** ლარი. გაცემულია 186 საგარანტიო წერილი;
- ,,მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ **ბიუჯეტი: 440 000** ლარი. ვაუჩერით ისარგებლა 2 200 მოქალაქემ;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები

- მიმდინარეობს მუშაობა წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი პროექტის „საქმიანობთა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“. **ბიუჯეტი: 26 200** ლარი;
- „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა“. **ბიუჯეტი: 8 238** ლარი. სარგებლობს **14** ბენეფიციარი;
- „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება“. **ბიუჯეტი: 302 500** ლარი. სარგებლობს **111** ოჯახი;
- „0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება“. **ბიუჯეტი: 14 400** ლარი. სარგებლობს **2** ოჯახი, თვეში **600** ლარი;
- „მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარება“. **ბიუჯეტი: 2 400** ლარი. სარგებლობს **1** მარტოხელა მშობელი. (თვეში **100** ლარი);
- „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სერვისების დაფინანსება“. **ბიუჯეტი: 108 297** ლარი. ისარგებლა **30** ბენეფიციარმა.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

- ,,საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ჩასართავად შუამდგომლობა გაეწია **64** ოჯახს;

- სამთავრობო კომისიაზე განსახილველად, შუამდგომლობა გაეწია **2** ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახს და მეწყერის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გამაგრებისათვის ფინანსური დახმარების თაობაზე - **55** ოჯახს;

- საცხოვრებელი სახლებისა და მიმდებარე ტერიტორიების გეოლოგიურად შესწავლასთან დაკავშირებით სულ შემოსულია **399** განცხადება, რომელიც შესწავლილია გეოლოგიური სამსახურის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები;

- შუამდგომლობა გაეწია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში და აჭარის ა.რ. მთავრობაში, ჯანმრთელობისა და სხვადასხვა საჭიროებების მქონე მოქალაქეებს.

- სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია **462** მოქალაქეს. ბიუჯეტი: **270 000** ლარი.

ტურიზმის განვითარების ხელშეცწობის ცენტრი

2023 წელს ქედის მუნიციპალიტეტს, **450 000** -ზე მეტი ვიზიტორი სტუმრობდა, მათ შორის იყვნენ, როგორც უცხო ქვეყნის ასევე, საქართველოს მოქალაქეები.

- ორგანიზაციამ გამართა ღონისძიება ,,შემოდგომა ქედაში" და ,,ღვინის ფესტივალი";
- ,,წიგნიერების ცენტრში" გაიხსნა ვიზუალური განათლების ცენტრი ,,მედიათეკა", სადაც დღესი მდგომარეობით **1000** - ზე მეტი მსმენელი გადამზადდა;
- გამართა არაერთი ინფო-ტური და მედია-ტური, ტურისტული ადგილების პოპულარიზაციის მიზნით მოაწყო ლაშქრობები, ორგანიზაციამ მოაწესრიგა ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი ბილიკები.

უცხოეთში ვიზიტები

- მონაწილეობდა იტალიაში, ქალაქ ბერგამოში სოფლის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე;
- ვიზიტი განახორციელა გერმანიაში, გერმანიის განათლების კონცეფციის გაცნობის მიზნით;
- ვიზიტით იმყოფებოდა რუმინეთის, ქალაქ არგესში ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალს ,,**CARPATI-2023**".

კულტურის მიღწევები

- თურქეთის რესპუბლიკის, ქემერის მუნიციპალიტეტში საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში მონაწილე ქალთა ფოლკლორული ანსამბლის „იაგუნდი“ ორ ნომინაციაში „საუკეთესო მუსიკა“ და „საუკეთესო პერფორმანსი“ დაჯილდოვდა;
- ფოლკლორული ანსამბლი „ელესას” მელიტონ კუხიანიძის სახელობის ჯილდო გადაეცა;
- ფოლკლორული ანსამბლი „ელესას” მონაწილეობით ცნობილმა მომღერალმა , ჩვენებურმა ბაიარ შაჰინ გუნდარიძემ ქედაში და ქედელებისთვის კლიპი გადაიღო.
- რუმინეთის ქალაქ არგესში გამართულ ხალხური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალში „CARPATI-2023”-ში ანსამბლი „ბეთლემი“ დაჯილდოვდა;
- ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან თანამშრომლობითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ქედაში შეიქმნა სალოტბარო სკოლა;
- სახელოვნებო სკოლის ანსამბლი „ჩანგი” საერთშორისო ფესტივალზე, დაჯილდოვდა დიპლომიტა და საგზურით ბულგარეთში. ასევე, დირექტორი ირინე დევაძე და ანსამბლის ხელმძღვანელი ნაზი სურმანიძე დავჯილდოვდნენ ლაურეატის დიპლომით.

ასევე, სახელოვნებო სკოლის და კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა არაერთ ფესტივალზე და ღონისძებაზე მიიღეს მონაწილეობა.

სპორტული მღწევები

- **შოთა ფარტენაძე -** თავისუფალ ჭიდაობაში **61**კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედალოსანია;
- **შოთა ფარტენაძე -** სერბეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ბელგრადში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია;
- **მარადი გორგაძე -** მსოფლიო ჩემპიონი აბა ჭიდაობაში;
- **კობა გოგუაძე -** ბრაზილიაში რიო-დე-ჟანეიროში გამართულ **62** კგ წონით კატეგორიაში ბავშვთა ოლიმპიადის ჩემპიონია.

ასევე, არაერთი საპრიზო ადგილი აიღო ქედის სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა: კინგბოქსინგში, მაგიდის ჩოგბურთში, გოგონათა და ბავშვთა ფეხბურთში...

ქედის მუნიციპალიტეტი

მერი - როლანდ ბერიძე

ტელ.: 0 425 25 00 01

ელ-ფოსტა: kedamunicipality@gmail.com

ვებ-გვერდი: keda.gov.ge

მისამართი: დაბა ქედა, კოსტავას N 3

გმადლობთ

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

დანართი №1.

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი

2024-2027 წლები

ქედა, 2023 წელი

სარჩევი

შესავალი 4

1. სიტუაციური ანალიზი 6

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა .. 6

1.1.1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება 6

1.1.2. წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები 8

1.1.3. დემოგრაფია 15

1.1.4. მუნიციპალიტეტის შრომითი რესურსები 20

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 25

1.2.1.სოფლის მეურნეობა 25

1.2.2.მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა 29

1.2.3.ტურიზმი 35

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა 41

1.4.ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება 45

1.4.1.ჯანდაცვა და მომსახურების ხელმისაწვდომობა 45

1.4.2.სოციალური მომსახურება 47

1.5. განათლება, კულტურა და სპორტი 49

1.5.1.განათლება 49

1.6.გარემოს დაცვა 56

1.6.1.სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენები, ეკოლოგიური მდგომარეობა 56

1.6.2.საყოფაცხოვრებო და ინერტული ნარჩენების მართვა 58

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა 59

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 63

1.8.SWOT ანალიზი 65

2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები 68

2.1. ხედვა 68

2.2. მიზნები და ამოცანები 68

2.3.ლოგიკური ჩარჩო 70

3.დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 75

3.1. დოკუმენტის განხორციელება 75

3.2.მონიტორინგი და შეფასება განვითარების დოკუმენტით 76

4.დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი 79

დანართები .....

შესავალი

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ასახავს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და გეგმებს, რომელიც არსებული სიტუაციის ანალიზს, რესურსულ შესაძლებლობებს ეფუძნება და მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და გაუმჯობესებული ინკლიზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობის დანერგვისკენ.

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე: მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მერის სამოქალაქო და ახლგაზრდულ მრჩეველთა საბჭოები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და სხვ.

სამუშაო შეხვედრებზე ერთობლივი მსჯელობის შედეგად შემუშავდა მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რამაც გამოკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღნიშნულის შედეგად, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიზნები და შესაბამისი ამოცანები.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირი და მოსაზრებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფენ მერიის სტრუქტურული ერთეულები და მმართველობის სფეროში შემავალი სხვა დაწესებულებები.

- *დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები*

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ასევე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა

განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს.

ამავე კოდექსის თანახმად, მერი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასა და განხორციელებას. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი სტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა, ასევე ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიაში.

ქედის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძვლებს ასევე წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების („მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს) საფუძველზე. დოკუმენტი ასევე, პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG).

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მოამზადა ქედის მერის 2023 წლის 24 მარტის ბრძანებით (ბ94. 942308335) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა.

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას, ასევე, გათვალისწინებული იყო ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული ფისკალური ჩარჩო.

- *დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან*

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მისი კომპეტენციები გამიჯნულია ცენტრალური ხელისუფლებისგან, თუმცა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენისას, გასათვალისწინებელია ჰარმონიზაცია ეროვნული, სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიული ან სამოქმედო სახის დოკუმენტებთან.

დოკუმენტის შედგენის პროცესში განხილულ და გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოში მოქმედი შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები:

- სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულება „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილება;
- 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია;
- საქართველოს შრომისა და დასახლების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია;
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია;
- ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია.

1. სიტუაციური ანალიზი

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

1.1.1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველ ერთეულს, რომელსაც ჩრდილოეთით ქობულეთის, დასავლეთით ხელვაჩაურის და აღმოსავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. სამხრეთით კი, შავშეთის ქედზე, საქართველო-თურქეთის საზღვარი გადის.

ქედის მუნიციპალიტეტში ერთი დაბა და 10 ადმინისტრაციული ერთეულია. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვ. კმ-ზე 37 კაცია. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კვ. კმ-ია.

მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან საშუალოდ 200-დან 400 მეტრ სიმაღლეზე მდებაროობს. ტერიტორიის უმაღლესი ადგილია სამხრეთით მდებარე მთა ღომა, რომლის სიმაღლე 2441 მეტრია. მუნიციპალიტეტს ჩრდილო-აღმოსავლეთით მიუყვება მესხეთის ქედი, ჩრდილო-დასავლეთით ჩაქვის ქედი, ხოლო სამხრეთ შავშეთის ქედი. სავარაუდოდ, მუნიციპალიტეტის ისტორიული სახელწოდება ქედა სწორედ მდებარეობით არის განპირობებული.

მდინარე აჭარისწყლის ხეობის გასწვრივ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხმელთაშუა ზღვისპირა რეგიონისათვის დამახასიათებელი სობტროპიკული ჰავაა. სიმაღლის მატებასთან ერთად ჰავის ცვლილება მკვეთრია, ამიტომ დასავლეთ ნაწილში შედარებით თბილი და ნოტიო ჰავაა, ხოლო მთების ზედა სარტყელისათვის დამახასიათებელია ნოტიო, მაგრამ ცივი ჰავა. საშუალო წლიური ტემპერატურა 12,8 გრადუსია, მათ შორის იანვარში - 3,4 გრადუსი, ივლისში კი - 21,2 გრადუსი. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -15,1 გრადუსი დაფიქსირდა, ხოლო მაქსიმალური 42 გრადუსი. ნალექების წლიური რაოდენობა წელიწადში 1500 მმ-ია. ზაფხული უმეტეს შემთხვევაში გვალვიანია, ზამთრის პერიოდი უხვთოვლიანი. თოვლიან დღეთა რაოდენობა 16-30 დღეს აღწევს. გაბატონებულია აღმოსავლეთით მიმართული მთა-ხეობის ქარები.

გეოლოგიურად აჭარისწყლის ხეობა აგებულია შუა ეოცენური ასაკის ანდეზიტების და პიროკლასტოლითებით, ვულკანოგენური ფაციუსის შრეებრივი მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩებით. მდინარე აკავრეთას ზედა ნაწილში გვხვდება შუა და ზედა ეოცენური ანდეზიტები-სიენიტები და დიომიტები, რასთანაც დაკავშირებულია მერისი-ვაიოს სპილენძის, ოქროს და ტყვია-თუთიის საბადოები. გეოლოგიური კვლევით ანალოგიური საბადო მიგნებულია სოფელ ზედა მახუნცეთის ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აგრეთვე მოიპოვება საშენი მასალები მდინარე აჭარისწყლის კალაპოტში, სააგურე თიხა. მუნიციპალიტეტი მდიდარია მინერალური წყლებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე აჭარისწყლის დიდი ნაწილი (42 კმ). მისი მარცხენა ყველაზე დიდი შენაკადია მდინარე აკავრეთა (მერისი), ხოლო მცირე შენაკადებია ხოხნისწყალი, წონიარისის წყალი, ბზანა, ახოს წყალი და აგარისწყალი. მდინარეები ძირითადად მთებიდან საზრდოობენ, ამიტომ თოვლის საფარის დნობისას გაზაფხულზე ხშირია წყალდიდობები, ხოლო ზაფხულის პერიოდში კი წყლის ნაკლებობაა. მთიანი რელიეფი მდიდარია ანკარა, სუფთა წყაროებით, მათ შორის მინერალური წყლებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია ქვედა და შუა სარტყლის ყომრალი ნიადაგები. მაღალმთიან ზონაში ზედასარტყლის ყომრალი ნიადაგებია, ალპურ ზონაში მთა-მდელოს ნიადაგები. ნიადაგების დიდი ნაწილი ჩამორეცხილი და ეროზირებულია.

<u>ფლორა და ფაუნა</u>

მდინარე აჭარისწყლის ხეობაში შეჭრილი კოლხური ტიპის მცენარეულობაა, ფერდობები დაფარულია წიფლნარ-წაბლნარით, ზოგან წიწვოვანი ხეებით. კარგადაა შეზრდილი ქვეტყეები (შქერი, წყავი, მოცვი, იელი, თხილი და სხვა) ტყის მასივებში ქვედა ზონაში შერეულად შეზრდილია გარეული ხურმა, მსხალი, ვაშლი, ბალი, კაკალი, ტყემალი და სხვა. ზემო სარტყელში

ვრცელდება წიწვოვანი და შერეული ტყეები. ტყიანობის მიხედვით მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიასთან შეფარდებით ქედის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მთელ საქართველოში. სულ ტყეებით და ბუჩქებით დაკავებული ტერიტორია მთლიანი ტერიტორიის 82%-ს შეადგენს.

გარეული ცხოველებიდან ტყეებში გავრცელებული ძუძუმწოვრებია: გარეული ღორი, კავკასიური მურა დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, ზღარბი, ევროპული შველი და სხვა. ქვეწარმავლებიდან ხვლიკი, გველებიდან ანკარა და ცხვირქოსანი გველგესლა. მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო, გვხვდება ბულბული, ტოროლა, შაშვი, ძერა, კაჭკაჭი, ჩხიკვი, ბეღურა, ნიბლია და სხვა. მდინარეებში გვხვდება კალმახი, ღორჯო და წვერა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია ძირითადად ოთხი ლანდშაფტითაა წარმოდგენილი:

1. დაბალი მთა - ხეობათა ლანდშაფტი წარმოდგენილია ხმელთაშუა ზღვის მსგავსი სუბტროპიკული და კოლხური მცენარეულობით;
2. საშუალო სიმაღლის მთა - ხეობათა ლანდშაფტი დანაწევრებული რელიეფით ზომიერი კლიმატით და წიფნარ-წაბლნარი ტყეებით;
3. მაღალი მთა-ხეობათა ლანდშაფტი ძლიერ დანაწევრებული რელიეფით ზომიერად ცივი და წიწვოვანი ტყეებით;
4. მაღალი მთა - მთა-მდელოს ლანდშაფტი.

1.1.2. წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

<u>მიწის ფონდი</u>

მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებულია 5093 ჰექტარი მიწის ფართობი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების სახით, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის 11,3%-ს შეადგენს. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი შეადგენს 1861 ჰექტარს.

მუნიციპალიტეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მხრივ მცირემიწიანია. ამის ძირითადი მიზეზი მთაგორიანი და დახრილფერდობიანი რელიეფია, რის გამოც მიწის ფართობების ათვისება და დამუშავება სირთულეებთან არის დაკავშირებული. წარსულში ასეთი ფართობების დამუშავებამ მათი ჩამორეცხვა და ეროზია გამოიწვია. დღეისათვის დამატებით ასათვისებელი მიწების რაოდენობა მხოლოდ 4%-ია.

დიაგრამა 1.



წყარო: მუნიციპალიტეტის მერიის სტატისტიკური მონაცემები.

<u>წყლის რესურსები</u>

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რთული გეოლოგიური აგებულება, რელიეფი და კლიმატი განაპირობებს მდინარეების, მინერალური წყლებისა და თერმული წყლების მრავალფეროვნებას. ზემოაღნიშნული პირობები გავლენას ახდენს ჩამონადენი წყლების სისწრაფესა და ქიმიურ შემადგენლობაზე. რელიეფის რთული დანაწევრების გამო, მდინარეების სიგრძე მოკლეა და მათი დაკავებული აუზის ფართობი მცირე. მათგან არცერთი სათავეს არ იღებს მუდმივი მყინვარიდან, იკვებება მიწისქვეშა წყლებით და მთებში ზამთრის პერიოდში მოსული თოვლის საფარით. მდინარის კალაპოტები ვიწროა და ღრმა ხეობებშია მოქცეული. წყლის დინება სწრაფია, რის გამოც ქმნის კორომებს და ჩანჩქერებს. ყველა მათგანი ჩაედინება მდინარე აჭარისწყალში, რომელიც უერთდება ქვედა წელში ჭოროხს და უერთდება შავ ზღვას. მდინარეთა ჰიდროპოტენციალი იძლევა ჰიდროელექტრო სიმძლავრეების შექმნის შესაძლებლობას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილი 16 მინერალური წყლიდან განსაკუთრებულია კოკოტაურის, გუნდაურის, კუმისის მინერალური წყლები, ხოლო სოფელი ნამონასტრევის სამი ბუნებრივი წყარო ახლოს დგას დებეტითა და შემადგენლობით წყალტუბოს მინერალურ წყლებთან, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ბალნეოროლოგიური, გულსისხლძარღვთა, გინოკოლოგიური და სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

ცხრილი 1. ქედის მუნიციპალიტეტში არსებული მინერალური წყლები						
N	**წყლის ადგილმდებარეობა**	**ქიმიური შემადგენლობა**	**დებეტი დღე-ღამეში ლიტრი**	**ტემპერატურა**	**ტუტე მჟავიანობა**	**შემადგენელი მინერალები**

1	კოკოტაური	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	50000	10	6.6	კალციუმი, ნატრიუმი
2	ნამონასტრევი	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	16000	12	6.7	კალციუმი, ნატრიუმი, მაგნიუმი
3	დუმბაძეების წყარო	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	20000	14	4	კალციუმი, ნატრიუმი, მაგნიუმი
4	საქაჯიას წყარო	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	3000	13	6.5	კალციუმი, მაგნიუმი
5	საინი	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	30000	13.5	3.8	კალციუმი, მაგნიუმი
6	ბაკანეთი	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	5000	14.5	4.8	რკინა, კალციუმი
7	წისქვილის ღელე	სულფატო კარბონატული	20000	11.5	4.6	რკინა, კალციუმი
8	მერისის აბანო	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	30000	12	4.6	რკინა, კალციუმი
9	დვალიძეების აბანო	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	70000	12	3.4	რკინა, კალციუმი
10	ჭედილას ხევი	სულფატური რკინის კალციუმიანი	6000	13	4.4	რკინა, კალციუმი
11	კუმისის წყალი	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	25000	12	6.8	კალციუმი, ნატრიუმი
12	გუნდაურის წყარო	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	4000	14	4.5	რკინა, კალციუმი
13	ასანიშვილების წყარო	სულფატო ჰიდროკარბონა ტული	50000	13	4.6	კალციუმი, ნატრიუმი

14	იხდიარიშვილების წყარო	სულფატო ჰიდროკარბონატული	1200	13	4.6	კალციუმი
15	წყალბოკელა	სულფატო ჰიდროკარბონატული	12000	11	6	კალციუმი, ნატრიუმი
16	ცხმორისის წყარო	თერმული გოგირდწყალბადიანი	60000	31	7	გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ სულფატიანი, ნატრიუმი, კალციუმი

წყარო: ახალგაზდრა მეცნიერთა კავშირის ,,ინტელექტი"-ს კვლევის შედეგები 2011 წელი.

მინერალური და თერმული წყლების რაოდენობა და მათი დებეტის სიმძლავრე იძლევა მათი საწარმოო გამოყენების პირობას.

ცხრილი 2. ლიცენზირებული წყალი

რესურსი	**ობიექტის დასახელება**	**ლიც. #**	**მომპოვებელი**	**ლიც. გაც. თარიღი**	**ლიც. ვადა**	**ლიც. დასრულ. თარიღი**	**მარაგები**	**მარაგების განზ. ერთ**
მინერალური წყალი	ქედა	25	შ.პ.ს. ბალაძეების წყალი	26.12.2013	10	27.08.2023	76,4	$м^3$/დღ.ღ
მინერალური წყალი	კოკოტაური	91	შ.პ.ს. კოკა-ტაური	09.12.2015	15	09.12.2030	3650	$м^3$/წ
მინერალური წყალი	ქედა	276	შპს ,,კემისი"	10.05.2019	10	10.05.2029	10	$м^3$/დღ.ღ
მიწისქვეშა მტკნარი წყალი	კოკოტაურის გამოვლ	1166	შპს კოკა-ტაური	14.03.2008	25	14.03.2033	5	$м^3$/დღ.ღ
მინერალური წყალი	გუნდაური	1000687	შ.პ.ს. გუნდაური	07.05.2012	25	07.05.2037	3	$м^3$/დღ.ღ
მინერალური წყალი	ქედა	1000698	შ.პ.ს. ბურჯი ინვესტი	15.01.2013	20	15.01.2033	45,1	$м^3$/დღ.ღ

წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

<u>**სასარგებლო წიაღისეული**</u>

ქედის მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია სამადნო საქმიანობისათვის, თუმცა ამ ეტაპისათვის მიმდინარე სამუშაოები არასისტემური ხასიათისაა და მხოლოდ სამშენებლო დანიშნულებით მასალების მოპოვება-გადამუშავებით შემოიფარგლება. ძვირადღირებული წიაღისეულის მოპოვება არ მიმდინარეობს და ჯერ კიდევ კვლევა-ძიების პროცესშია. ჩატარებული კვლევებით გამოვლენილია მერისის კვანძის სახელით ცნობილი მადანგამოვლინება, რომელიც ხუთ მადნიან ველს მოიცავს. მათგან სამი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა: ლოდნარის, ვაიო-სურნალის და ნამონასტრევის ველები. ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ ამ კვანძებში ოქროს შემცველია არამარტო მადნიანი ძარღვები, არამედ მადანშემცველი ქანებიც და მისი შემცველობა აღემატება სამრეწველო მონაცემებს და აღწევს 10-70 გრამს ტონა მასაში. გარდა ოქროსი, სამრეწველო მონაცემებს აკმაყოფილებს ქიმიური ელემენტების სპილენძი, სტრონციუმი, მოლიბდენი და სხვა ელემენტების შემცველობა. გამომდინარე აქედან მერისის კვანძის საბადოები სამრეწველო გადამუშავების პერსპექტივას იძლევა. სოფელ ნამონასტრევში აღმოჩენილია სიუნიტ-დიორიტის საბადოები, რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში ძვირფას საშენ მასალებად. დღეისათვის მათი რაოდენობა დადგენილი არ არის.

მდინარე აჭარისწყლის აუზში მიმდინარეობს სალიცენზიო პირობებით დაგროვილი ბუნებრივი ნატანის ქვიშა-ხრეშის მოპოვება და დამუშავება ამ მხრივ მნიშვნელოვანია დანდალოს, წონიარისის, დოლოგნის, პირველი მაისის, ზვარის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება და დოლოგნის ანდეზიტო-პორფილირების საბადო.

ცხრილი 3. ლიცენზირებული არამეტალები

რესურსის დასახელება	ობიექტი	ლიც #	მომპოვებელი	ლიც. გაც. თარიღი	ლიც. ვადა	ლიც. დასრულ. თარიღი	ჯამური მოპოვება	მარაგების განზ. ერთეული
ანდეზიტ-ბაზალტი	ჭალახმელა გამოვლი	254	მოქალაქე	23.09.2018	5	23.09.2023	266000	$მ^3$
ანდეზიტ-ბაზალტი	დოლოგანის გამოვლინება	414	შპს "რასი"	07.12.2020	7	07.12.2027	290800	$მ^3$
ქვიშა-ხრეში	წონიარისის გამოვლ	498	შპს "დამაგი"	13.10.2022	1	13.10.2023	27927	$მ^3$
ქვიშა-ხრეში	წონიარისის გამოვლ	499	შპს "დამაგი"	13.10.2022	1	13.10.2023	29619	$მ^3$
ქვიშა-ხრეში	წონიარისის გამოვლ	500	შპს "დამაგი"	13.10.2022	1	13.10.2023	29298	$მ^3$
ქვიშა-ხრეში	წონიარისის გამოვლ	501	შპს "დამაგი"	13.10.2022	1	13.10.2023	29649	$მ^3$
ანდეზიტ-ბაზალტი	დოლოგანის გამოვლი	509	შპს „რასე“	15.02.2023	3	15.02.2026	147619	$მ^3$
ბაზალტი	მახუნცეთის გამოვლ	10001539	შ.პ.ს. ბაზალტი-3	01.07.2020	7	19.12.2027	850000	$მ^3$
ქვიშა-ხრეში	აჭარისწყლის გამოვ	LIC_112	შპს დეენკა პრომაინ	21.10.2022	2	21.10.2024	179163	$მ^3$

წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

ცხრილი 4. საბადოები არალითონები

რესურსის დასახელება	ობიექტი	მარაგების განზ. ერთეული	a_b_c1	c2	p1_p2_p3	სამრეწველო ტიპი
ანდეზიტ-პორფირიტი	დოლოგანის გამოვლინება	$მ^3$	1330000	3330000	0	ღორღი

წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

<u>ტყის რესურსები</u>

ქედის მუნიციპალიტეტი ტყის რესურსების რაოდენობით საკმაოდ მდიდარია და ტყეებს მთლიანი ტერიტორიის 77% უჭირავს. მუნიციპალიტეტში ძირითადად ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის მასივებია. ყველაზე მეტად გავრცელებულია წიფელი და წაბლი, წიწვოვანებიდან ნაძვი და ფიჭვი. გასული საუკუნის ბოლოს, უყურადღებობის გამო, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ტყის მასივებს. ტექნიკით მისადგომ ტერიტორიებზე უკონტროლოდ გაჩეხილი ტყის მასივების ბუნებრივი აღდგენა ნელი ტემპით მიმდინარეობს. ხე-ტყით სარგებლობისათვის მკაცრი რეგულაციების შემოღების პირობებში, ყოველწლიურად ბუნებრივი ნამატის ხარჯზე მიმდინარეობს მოსახლეობის მოხმარებისათვის 150 $მ^3$-ზე მეტი სამასალე ხე-ტყის, ხოლო საშეშედ მოხმარებისათვის 17000 $მ^3$-ის გამოყოფა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მერქნული რესურსის სახეობის ტყეების ფართობი შეადგენს 37133 ჰექტარს, ხოლო საერთო მარაგი შეადგენს 11977900 კუბ. მეტრს. სამრეწველო დანიშნულებით ხე-ტყის მოპოვება ამ ეტაპისათვის არ მიმდინარეობს.

სანიტარულ-ეკოლოგიური თვალსაზრისით მიმდინარე გლობალური დათბობის ზემოქმედებით, როგორც წიწვოვანი, ასევე ფოთლოვანი ტყის ცალკეული კორომები დაავადებულია სხვადასხვა მავნებლებით, მათ შორის აღსანიშნავია წაბლის ქერქის კიბო, რამაც მინიმუმამდე შეამცირა წაბლის კორომების რაოდენობა. ნაძვის დიდი ლაფანჭამია, რამაც გასული საუკუნის ბოლოს გაანადგურა უძველესი წიწვოვანი ტყის კორომები. ასევე, გავრცელდა სიდამპლის გამომწვევი სოკოები, რაც გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით. 10 წლის მონაცემებით, დაავადებული ტყის ფართობი 2381 ჰექტარია.

ცხრილი 5. ტყის სახეობები და ფართობები, მერქნული რესურსები

სახეობები	**ფართობი (ჰა)**	**მერქნული მარაგი $მ^3$**	**ფართობი (%)**	**მარაგი (%)**
წიწვოვანი	**889**	**253200**	**2,39**	**2,11**
სოჭი	21	6800	0,06	0,06
ნაძვი	694	206500	1,87	1,72
ფიჭვი	174	40900	0,47	0,34

ფოთლოვანი	**36244**	**11724700**	**97,61**	**97,89**
წიფელა	19733	8540300	53,14	71,30
მუხა	1940	247800	5,22	2,07
რცხილა	974	193700	2,62	1,62
წაბლი	9658	2391800	26,01	19,97
ნეკერჩხალი, თელა, იფანი	2	600	0,01	0,01
თხმელა	2189	322600	5,9	2,69
ცაცხვი	6	500	0,02	0,00
აკაცია	35	5800	0,09	0,05
ხურმა	2	200	0,01	0,00
ბუჩქნარი	**1705**	**21400**	**4,59**	**0,18**
ყველა სახეობა	**38838**	**11977900**	**100**	**100**

წყარო: ახალგაზდრა მეცნიერთა კავშირის ,,ინტელექტი“-ს კვლევის შედეგები 2011 წელი.

1.1.3. დემოგრაფია

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის 1 იანვრის საყოველთაო აღწერის მონაცემებით 16760 კაცს შეადგენდა, მაშინ როცა 2002 წლისთვის აღწერის მიხედვით მოსახლეობა 20116 იყო. კლების ტენდენცია გამოიწვია ქალაქის ურბანული განვითარების პროცესში შრომისუნარიანი მოსახლეობის საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში გადასახლებამ, თუმცა მათი უმრავლესობა ინარჩუნებს სოფელთან კავშირს, აქვთ ოჯახური მეურნეობები და საცხოვრებელი სახლები. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფლებში მუდმივად მცხოვრები 4069 ოჯახია. ადგილობრივი მოსახლეობის 99,8% ეროვნებით ქართველია, სხვა ეროვნების მოქალაქეთა რიცხვი 0,2%-ია.

დიაგრამა 2.



წყარო: საქსტატი

მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სიმჭიდროვე კვლავ მაღალია, 37 კაცი ერთ კვადრატულ კილომეტრზე. მით უმეტეს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების წილი საერთო ფართობში მინიმალურია, სოფლის მეურნეობის დანიშნულებით გამოსაყენებელ ფართობებზე გაანგარიშებით 1 კვ.კმ-ზე მოსახლეობის სიმჭიდროვე 330 კაცს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო საკარმიდამოს ზრდა მიწის შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით შეუძლებელია, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის გასახლებას. ამ პროცესის ხელშემწყობი გარემოებაა აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში წარმოქმნილი მეწყრული პროცესები, რაც ყოველწლიურად 10-ზე მეტი ოჯახის იძულებით გასახლებას იწვევს.

დიაგრამა 3.



წყარო: საქსტატი

მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

2014 წლის მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში 8350 ქალია, ხოლო 8410 კი - კაცი.

დიაგრამა 4.





წყარო: საქსტატი

40 წელს ზევით ასაკის მოსახლეობაში ქალების პოტენციური წილი მაღალია, რაც ქალების მაღალი სიცოცხლისუნარიანობის შედეგია.

დიაგრამა 5.



წყარო: საქსტატი

მოსახლეობის ბუნებრივი მატების მონაცემები (სხვაობა შობადობასა და გარდაცვლილთა შორის) არ ჩამორჩება ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტების მონაცემებს. მატების მაჩვენებელი ყოველწლიურად 250 კაცს აღწევს. მაშინ როცა 2007 წლისათვის ეს მაჩვენებელი 100 კაცს არ აღემატებოდა. ბუნებრივი მატების მაჩვენებლის ზრდას განაპირობებს ახლად შექმნილი ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინ როცა 2007 წლისათვის ახლად დაქორწინებულთა რაოდენობა იყო 85, ბოლო წლებში 250-მდე გაიზარდა. თუმცა მოსახლეობაში ძალზე დაბალია მრავალშვილიანი ოჯახების წილი. დღევანდელი მონაცემებით მუნიციპალიტეტში მხოლოდ 68 მრავალშვილიანი ოჯახია, რაც ბუნებრივი მატების მთავარი განმსაზღვრელი იყო. შობადობის მაჩვენებელმა ყოველწლიურად 500 ბავშვს გადააჭარბა, 2007 წლისათვის 300-ს არ აღემატებოდა. მთის მოსახლეობაში ზოგადად და ქედის მუნიციპალიტეტში დაბალია განქორწინების რისკი და იგი ყოველწლიურად 5 ერთეულს არ აჭარბებს, რაც ქვეყნის მასშტაბით სტაბილურად დაბალი დინამიკაა.

დიაგრამა 6.



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7.



წყარი: საქსტატი

სოციალური მდგომარეობა

ქედის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 5 ნოემბრის მონაცემებით 3925 შიდა მიგრანტი იყო, ყველაზე მეტი თავად აჭარის ავტონომიკური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებიდან მიგრირებული.

დიაგრამა 8.



წყარი: საქსტატი

ქედის მუნიციპალიტეტში 4069 ოჯახია. ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა 4 წევრია. სოფლად მცხოვრები ოჯახების უმეტესი ნაწილი საკუთარ მეურნეობაშია დასაქმებული. ოჯახების დიდი წილი 1341 ერთეული 33% სარგებლობს საარსებო შემწეობით. 2022 წლიდან მთავრობის განკარგულების შესაბამისად სოციალური დასაქმების პროგრამით ისარგებლა 309 ოჯახმა, რითაც გაიზარდა მათი შემოსავლები არანაკლებ 300 ლარით და გაუმჯობესდა სოციალური მდგომარეობა. სოციალურად დაუცველი ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა იღებს დამატებით ნატურალური პროდუქტების სახით საკუთარი მეურნეობებიდან. გამომდინარე აქედან, სოციალურად დაუცველი ოჯახებისაგან მუნიციპალიტეტში არ არის შიმშილის ზღვარზე მყოფი და გააჩნიათ საარსებო საშუალებები.

მარტოხელა შრომისუუნარო პირებისათვის მოქმედებს კვების პროგრამა, რომლითაც სარგებლობს 25 მოქალაქე.

ქედის მუნიციპალიტეტში 4361 პენსიონერია. მათ შორის ქალების რაოდენობა 61%-ია, ხოლო კაცების რაოდენობა 39%-ის ფარგლებშია. ქალთა რაოდენობრივად მეტობა განპირობებულია მათი მეტი სიცოცხლისუნსრიანობით და ასევე დაბალი საპენსიო ასაკით. პენსიონერთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ ასაკის მიხედვით პენსიას იღებს 3123 პენსიონერი. 1238 პენსიონერი უნარშეზღუდულია. 83-მდე მარჩენალდაკარგულია. 19 ოჯახი პოლიტიკურად რეპრესირებული ოჯახის წევრებია. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში პენსიონერთა წილი 21%-ია, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაჩვენებელზე (16,5%) მაღალია. პენსიონერთა ხვედრითი წილის ზრდა გამოწვეულია შრომისუნარიანი მოსახლეობის ქალაქში გადინებით. ასევე, ხელისუფლების მიერ მთის კანონით დაწესებული შეღავათების გამო, პენსიონერების დამაგრება სოფლად მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყოველთვიურად პენსიონერებზე ბიუჯეტიდან გასაცემი თანხა შეადგენს 243131 ლარს.

პენსიის მიმღებთა რაოდენობა მოცემული დროის მონაკვეთში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით პენსიონერთა საერთო რაოდენობის 5%-ია.

დიაგრამა 9.



წყარო: საქსტატი

1.1.4. მუნიციპალიტეტის შრომითი რესურსები

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი 61,8%-ია. მთლიანი აჭარის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 59,5%-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალგაზრდაა.

დიაგრამა 10.



წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტში მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონის გაზრდას ბოლო წლებში ხელი შეუწყო კერძო სექტორის განვითარებამ. ასევე შეუწყო ხელი საქართველოს მთავრობის მიერ ამ კუთხით განხორციელებულმა პროგრამებმა (აწარმოე საქართველოში და სხვა) და LAG-ის პროექტმა. აღნიშნული პროგრამებით სარგებლობის შედეგად შეიქმნა ბოლო წლებში 7 ახალი საწარმო 57 საოჯახო სასტუმრო, 25-ზე მეტი ტურისტული ობიექტი, რესტორანი და კოტეჯების ტიპის სასტუმროები. დასაქმებულთა ზრდას ხელი შეუწყო ტურისტული სექტორის გაფართოებამ, განსაკუთრებით მახუნცეთის და მერისის თემებში. დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მთავრობის პროგრამით დასაქმებით. 2011 წლის მონაცემებით შრომისუნარიანი მოსახლეობის 20% სამუშაოს ძიებით მიდიოდა ქალაქად და თურქეთის რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოებზე. 2022 წლისათვის ეს მაჩვენებელი 10%-ზე დაბალია.

დიაგრამა 11.



წყარო: საქსტატი

მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია საჯარო სექტორში (განათლების სექტორი, ჯანდაცვა, მერია, საკრებულო, სამართალდამცავი სტრუქტურები და სხვა). ბოლო წლებში ამ სექტორში დასაქმებულთა ზრდას ხელი შეუწყო ახალი სამუშაო ადგილების შექმნამ. მაგალითად, საჯარო სკოლებში ბავშვთა ტრანსპორტირებისათვის მიკროავტობუსების გამოყენება, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის შტატების შექმნა, საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოება და სხვა.

ქვეყნის მასშტაბით დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სქესის მიხედვით იძლევა ზოგად სურათს, თუ რომელი დარგებშია დასაქმების უფრო მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნული მონაცემები არ არსებობს რეგიონის და მით უფრო მუნიციპალიტეტის მასშტაბით და შესაბამისად, ქვეყნის სტატისტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ამ მაჩვენებლის მუნიციპალიტეტზე განზოგადება. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში 229 ათასი, აქედან ქალი 84 ათასი ქალი, ხოლო კაცი 145 ათასი. აღსანიშნავია, რომ ქალების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი არის განათლების სფეროში, ხოლო კაცების დასაქმები მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სფეროში.

დიაგრამა 12.



წყარო: საქსტატი

შრომისუნარიანი მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც კერძო მეურნეობებშია დასაქმებული, თავს უმუშევრად მიიჩნევენ, თუმცა მათგან ის ნაწილი, რომლებიც სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, მათი სურვილის მიხედვით დასაქმებულები არიან სახელმწიფო პროგრამით.

მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ დაბალია შრომისუნარიანი მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე, რაც ამ მხრივ კადრების დეფიციტს იწვევს. მაგალითისათვის არასაკმარისია ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტების, აგრონომების, ზოოვეტერინარების, მშენებელი ინჟინრების, ელექტრო შემდუღებლების, სანტექნიკოსების, მცენარეთა დაცვის სპეციალისტების რაოდენობა.

მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკა ცნობილი არ არის, ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილია აჭარის რეგიონის მონაცემები.

დიაგრამა 13.



წყარო: საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ძირითადად 49% დაქირავებულ შრომაზე მოდის, 18% კი - პენსიაზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის.

დიაგრამა 14.

წყარო: საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო ხარჯებს უჭირავს.

დიაგრამა 15.







წყარო: საქსტატი

მთელი რეგიონის მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 39% სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე მოდის, 10,9% ჯანმრთელობის დაცვაზე, ხოლო 3,2% კი - განათლებაზე. ერთი შინა მეურნეობის საშუალო თვიური ხარჯი სურსათზე 403,4 ლარია.





დიაგრამა 16.

წყარო: საქსტატი

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

1.2.1. სოფლის მეურნეობა

ქედა, მცირემიწიანობის მიუხედავად, აჭარის მასშტაბით მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტია სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით. მთლიანი აჭარის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან ქედაზე 6,9% მოდის, სულ 5093 ჰექტარი. აქედან სახნავი ფართობია 2226 ჰექტარი, ხოლო მრავალწლიანი კულტურების ქვეშ მყოფი 348 ჰექტარია. ქედაში მცხოვრებ ყოველ ოჯახზე საშუალოდ 1 ჰექტარზე მეტი დამუშავებაში მყოფი მიწა მოდის. მათ შორის სახნავი მიწის რაოდენობა ერთ ოჯახზე 0,48 ჰექტარია. თუმცა, ეს მონაცემები მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაპროპორციულია სხვადასხვა თემებისათვის მცირემიწიან და მჭიდროდ დასახლებულ თემებში. მაჩვენებლები გაცილებით მცირეა მაგალითად ცხმორისის, წონიარისის, დანდალოს, თემებისათვის შედარებით მაღალი მაჩვენებელია ქედის და მახუნცეთის თემებისათვის.

დიაგრამა 17.



წყარო: მუნიციპალიტეტის მერიის სტატისტიკური მონაცემები.

მუნიციპალიტეტის მიწათმოქმედების სფერო საკმაოდ რისკიან ზონაშია მოქცეული. ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე მოსავლის გარანტირებული რაოდენობა და ხარისხი არ მიიღწევა, ვინაიდან მოსავლის დაზიანებას ხელს უწყობს ხშირად გაზაფხულის პერიოდში მოყინვები, ძლიერი ქარები და ზოგიერთ წლებში ძლიერი გვალვები. ასევე, აქტიურია დახრილ ნიადაგებზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩარეცხვა და ეროზია.

გასულ საუკუნეში, როცა კოლექტიური წესით ხდებოდა ნიადაგების დამუშავება მიწებთან არაგულისხმიერმა დამოკიდებულებამ, კერძოდ, დახრილ ნიადაგებზე თამბაქოს კულტურების

გაშენებამ მნიშვნელოვნად დააზიანა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები. რის შედეგად ჩამოირეცხა ნაყოფიერი ფენა და მიწები გადაიქცა უნაყოფოდ, რის გამოც მოსახლეობამ შეწყვიტა მათი დამუშავება და ფართობები ტყე-ბუჩქნარმა და გვიმრებმა დაიკავა.

ბოლო წლებში მოსახლეობის მიგრაციულმა პროცესებმა შედარებით შეამცირა მიწათმოქმედებაზე დამოკიდებულება და ნაყოფიერი მიწების ნაწილი ნასვენ მიწებად გადაიქცა.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ოდითგანვე ქედაში განვითარებული იყო მევენახეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და მებაღეობა.

ქედის მუნიციპალიტეტისათვის მემცენარეობა სოფლის მეურნეობის დარგის ერთ-ერთი ძირითადი აპრობირებული მიმართულებაა, თუმცა დღეისათვის შემცირებულია წარსულში მემცენარეობის ტრადიციული დარგები როგორიც არის თავთავიანი კულტურები, თამბაქო, კარტოფილის კულტურები. ასევე, შემცირდა მებოსტნეობის კუთხით პომიდვრის, კიტრისა და სხვა ბოსტნეულის წარმოება. მხედველობაში მისაღებია ის, რომ აღნიშნული კულტურები უმეტეს შემთხვევაში საკუთარი მოხმარებისათვის მოჰყავთ და შემცირდა მათი ბაზარზე რეალიზაცია. მარცვლეული კულტურებიდან ძირითადი ადგილი კვლავ სიმინდის სავარგულებს უჭირავს. 2022 წლის მონაცემებით საერთო ფართობიდან სასიმინდე ნაკვეთებს 845,7 ჰექტარი ეჭირა, ანუ მთლიანი ფართობის 16,7%.

ცხრილი 6.

ქედის მუნიციპალიტეტში ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები - 2021 წელში

ფართობი და მოსავალი	ერთწლიანი კულტურები												
	სიმინდი	კარტოფილი	ლობიო	კიტრი	პომიდორი	კომბოსტო	ბადრიჯანი	წიწაკა	მწვანილი	ვოვრა	თამბაქო	სხვა დანარჩენი	შენიშვნა
ფართობი (ჰა)	845,71	109,4	61,03	50,7	52,3	0	2,9	18,5	17,28	1,29	211,91	610,9	დაუმუშავებელი სახნავი მიწა 280 ჰა.
მოსავალი (ტონა)	4364,7	1559,4	1,75	672,5	706,7	0	3,5	127,9	23,79	11,0	501,8	X	

წყარო: მუნიციპალიტეტის მერიის სტატისტიკური მონაცემები.

ბოლო წლებში ტემპერატურის მკვეთრმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ღია გრუნტში ნათესი ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის შემცირებას. განსაკუთრებით გოგროვანი და პარკოსანი კულტურული ჯიშები დააზიანა. გლობალური დათბობის პირობებში კლიმატის ცვლილების შედეგად ბოლო ორ წელიწადში ზაფხულის პერიოდში მოსულმა სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზიანა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები.

მრავალწლიანი კულტურებიდან მუნიციპალიტეტში აღორძინდა ბოლო წლებში ვენახის, თხილის, ხურმის, მოცვის პლანტაციები, რასაც ხელი შეუწყო ბაზარზე მზარდმა მოთხოვნილებამ. გასული წლების 90-იან წლებში დაბალი ეკონომიკური სარგებლის გამო, ვენახის პლანტაციების დიდი ნაწილი გაიჩეხა, თუმცა ბოლო წლებში გაიზარდა ცოლიკაურის და ჩხავერის ზვრების რაოდენობა და მოსავლიანობა.

ქედა მეღვინეობასა და მევენახეობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი მუნიციპალიტეტია საქართველოში. უძველესი დროიდან მომდინარეობს მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიცია, რასაც გავრცელებული ჯიშების სიმრავლეც მოწმობს (40 ჯიში).

მევენახეობის უძველეს ტრადიციას მიანიშნებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიკვლეული მიწისქვეშა ჩამარხული ქვევრები, ქვის საწნახელები და სხვა ტრადიციული ხელსაწყოები. ვაზის ნარგავები ქედაში ამჟამად 121 ჰექტარზეა გაშენებული, რომელთა უმეტესი ნაწილი ცოლიკაურის და ჩხავერისაა. ორივე ჯიშის ადგილობრივი მოსავალი გამოირჩევა მაღალი ხარისხით და უნიკალურია ღვინის წარმოებისათვის. განსაკუთრებით გამორჩეულია ჩხავერი, რომლის ანალოგი სხვა რეგიონში არ გვხვდება, თუმცა ვაზის მოსავლიანობა წლების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს 65-დან 80 ცენტნერამდე ჰექტარზე წლიურად. ვაზის მოსავლიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 7.				
ყურძნის სამეურნეო წარმოების მოცულობა 2020-2021- 2022 წლებში				
	2020 წ - (ტონა)	2021 წ - (ტონა)	2022 წ - (ტონა)	2023 წ - პროგნოზი (ტონა)
ყურძნის მთლიანი მოცულობა (ტონა):	952	1055	943	963
ცოლიკაური	563	612	548	560
ჩხავერი	211	223	208	196
ალადასტური	9	13	12	7
შერეული ჯიშები	169	207	175	200

ვაზისადმი მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია ახალი სანერგე მეურნეობების მოწყობისადმი ინტერესი. ასეთი მეურნეობები მოეწყო სოფელ კოკოტაურში, საიდანაც ფერმერები ყიდულობენ ადგილზე ხარისხიან ჩითილებს.

ქედაში საკმაოდ განვითარებულია ოჯახური ტიპის ღვინის წარმოების ტრადიცია. თითქმის არ მოიძებნება ოჯახი, რომელიც საკუთარი ხელით ოჯახურ გარემოში დამზადებული ღვინით არ იწონებდეს თავს. თუმცა ტურისტული სექტორის მნიშვნელოვანმა ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში ღვინის სარეალიზაციოდ წარმოების აუცილებლობა გაზარდა. უკვე მოქმედებს დაბა ქედაში თანამედროვე ტიპის ღვინის ქარხანა. „კახური ტრადიციული

მეღვინეობის“ ბრენდით ორი ინდივიდუალური მეწარმე, რომლებიც ღვინის დამზადება-დაფასოებას და რეალიზაციას ეწევიან და სოფლებში 8 კერძო მარანია, რომელთა მიერ ნაწარმი ღვინოები ბაზარზე მოთხოვნადია.

გასულ 2021 წელში ღვინის ფესტივალზე მეღვინე მერაბ ტაკიძის მიერ წარმოებულმა თეთრმა და წითელმა ღვინოებმა მოწონება დაიმსახურა. ღვინის წარმოებასთან ერთად ფეხს იკიდებს სპირტიანი სასმელების წარმოება. დღემდე თუ ჭაჭა არაყს ფერმერები საკუთარი მოხმარებისათვის ამზადებდნენ მხოლოდ, უკვე შეიქმნა ერთი საწარმო სოფელ დოლოგანში, რომელიც სარეალიზაციო სპირტიან სასმელებს ამზადებს. სპირტიან სასმელებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთან გაიზარდა სარეალიზაციო ფასები. 2010 წლის მონაცემებით თუ 1 ლიტრი ღვინის ფასი 3 ლარით განისაზღვრებოდა, დღეისათვის 8-დან 15 ლარამდე მერყეობს. განსაკუთრებით მაღალი ფასით გამოირჩევა ჩხავერის ღვინოები.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საკუთარი ოჯახების საჭიროებიდან გამომდინარე ტრადიციულად მისდევდა მეცხოველეობას. ძირითადად შინამეურნეობებში ეწეოდნენ მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებას, საიდანაც გაჩნდა ისეთი ტრადიციული მაღალმთიანში გავრცელებული დარგი მემთეურობა, რაც პირუტრვის დროებით საძოვრებზე ალპურ ზონაში გაყვანას და რძის პროდუქტების დამზადებას ნიშნავდა. ტრადიციულად საშუალოდ ერთ ოჯახს სამი მეწველი ფური ჰყავდა და მოზარდებისა და გამწევი ხარის ჩათვლით თითოეულ ოჯახზე საშუალოდ 5 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოდიოდა. თუმცა უკანასკნელ წლებში მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა შიდა მეურნეობებში მკაცრად შემცირდა და ოჯახების დიდი ნაწილი საერთოდ არ მისდევს მეცხოველეობას და იშვიათია ოჯახები, ვისაც 3-ზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავს. შესაბამისად დაეცა ხორცისა და რძის წარმოება. 2010 წელში ხორცის წარმოება შეადგენდა 1090 ტონას, რძის წარმოება 4360 ტონას, 2022 წლისათვის კი ეს ციფრები შემცირდა. შესაბამისად შემცირებულია ალპური საძოვრებით მოსარგებლე ოჯახები ცალკეულ თემებში მეტნაკლებად 60%-ით.

მეცხოველეობის დარგისადმი ინტერესის დაკარგვა მოსახლეობაში გამოიწვია დაბალმა რენტაბელობამ. აგრეთვე დარგი მოითხოვს მძიმე ფიზიკურ შრომას და ქედის პირობებში ზამთრის ხანგრძლივობის გამო რთულია პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა.

მეფრინველეობის დარგით გასულ საუკუნეში ქედის მოსახლეობა გარკვეული ინტერესით უდგებოდა თითქმის საკუთარი გამოკვებისათვის. ოჯახებში საკუთარი ფრინველის ხორცით და კვერცხით მარაგდებოდა, მოქმედებდა მეფრინველეობის საშენი ფერმა. იმ პერიოდისათვის შინამეურნეობებში 45000-მდე ფრინველს ზრდიდნენ ყოველწლიურად, ამ ეტაპისათვის 16000-მდეა შემცირებული. სოფელ წონიარისში მოქმედებს მეფრინველეობის ფერმა, რომელიც ძირითადად ხორცის წარმოებაზეა ორიენტირებული.

მეფრინველეობისადმი ინტერესის შემცირება გამოწვეულია ბაზარზე ფრინველის ხორცის ფასების შემცირებამ და გავრცელებულმა ფრინველის დაავადებებმა. დარგს განსაკუთრებული ზიანი მიაყენა პირველ ათწლეულში გავრცელებულმა ფრინველის გრიპმა, როცა ფერმერებს იძულების წესით გაანადგურებინეს შინამეურნეობაში არსებული ყველა სახის ფრინველი.

მეფუტკრეობის დარგის განვითარებას ქედაში ხელს უწყობს ყვავილოვანი ხე-მცენარეების ფართოდ გავრცელება. თუმცა კლიმატური პირობების მკვეთრი ცვალებადობა და არასტაბილურობა თაფლის წარმოებისათვის ყოველწლიურად არახელსაყრელია და მოსავლიანობა მკვეთრად ცვალებადია. 2010 წლიდან ერთი ორად გაიზარდა მეფუტკრეობით

დაინტერესებული ფერმერთა რიცხვი და თაფლის წარმოებაც 30 ტონიდან 50 ტონამდეა საშუალოდ წელიწადში გაზრდილი.

თაფლის წარმოების ზრდის მაჩვენებელმა ხელი შეუწყო მისი სარეალიზაციოდ ბაზარზე გატანას. წინა საუკუნეში თუ თაფლი მხოლოდ ადგილზე მოხმარებისათვის იწარმოებოდა ძირითადად, დღეისათვის ადგილზე წარმოებული თაფლის უმეტესი ნაწილი გახდა ფერმერული მეურნეობის შემოსავლის წყარო.

სოფლის მეურნეობიდან ქედაში კონკურენტუნარიანია გამოკვეთილად მებოსტნეობა, მეფუტკრეობა და მევენახეობა. ამიტომ ეს მიმართულებები სამომავლოდაც სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროები იქნება ქედისათვის. მებოსტნეობის და მევენახეობის ხანგრძლივი ტრადიცია, მეფუტკრეობისათვის ხელშემწყობი გარემო იძლევა საფუძველს ამ დარგების კიდევ უფრო აღორძინებისათვის. ამასთან მნიშვნელოვანია ბაზარზე უკვე არსებული პოზიცია ქედური წარმოების ბოსტნეულის, ყურძნის და თაფლის (განსაკუთრებით წაბლის თაფლი) სავსებით პოზიტიური საბაზრო იმიჯი.

მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში არსებული მთის მდინარეები ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეთევზეობის განვითარებისათვის, კერძოდ საკალმახეების მოწყობისათვის. წინა ათწლეულში მუნიციპალიტეტში სულ 16-მდე ასეთი დიდი და მცირე მეურნეობა ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ რესურსულ წარმადობაზე წარსულში ციფრობრივი მონაცემები არ მოიპოვება, ქედაში წარმოებული კალმახი უხვად იყო ბაზარზე ხელმისაწვდომ ფასებში. შემდგომი პერიოდისათვის თევზის საკვებზე ფასების ზრდამ, გავრცელებული დაავადებების გამო ზარალიანმა სეზონებმა აიძულა მეკალმახეები შეეწყვიტათ საქმიანობა და მხოლოდ ერთეულები აგრძელებენ მუშაობას. თუმცა გასული წლიდან ბაზარზე თევზის ფასის მკვეთრად ზრდამ დააინტერესა ფერმერთა ნაწილი და დარგმა კვლავ დაიწყო აღორძინება.

1.2.2. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

გასული საუკუნის ბოლოს ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილების და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქედაში არსებული სამრეწველო ობიექტების ფუნქციონირება შეწყდა და მრეწველობის დარგის მხოლოდ ორი ობიექტი ფუნქციონირებდა 2010 წელში, კოკოტაურის მინერალური წყლების საწარმო და სოფელ დოლოგანში ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმო. ბოლო ათწლეულში მთავრობის მიერ მეწარმეობის განვითარებისათვის გატარებულმა ღონისძიებებმა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის, ENPARD-ის პროგრამის ხელშეწყობით (LAG-ები) და მთის კანონით დადგენილმა საგადასახადო შეღავათებმა ხელი შეუწყო სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებას და 2023 წლამდე 20 ახალი საწარმო ამოქმედდა. მათგან შედარებით მსხვილი საწარმოა ქედის ღვინის და ქედის საკონსერვო ქარხნები, ჩირის დამამზადებელი საწარმო ,,კერკი“ და ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი სამი საწარმო. მოქმედი 22 საწარმოდან 16 მცირე საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა ქედის მაგალითისათვის მუშახელის დასაქმება, ადგილობრივი რესურსების გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება მნიშვნელოვანია. სულ საქსტატის მონაცემებით ქედაში 235 ბიზნეს-სუბიექტია რეგისტრირებული, მათ შორის 155 ინდ.მეწარმეა.

დიაგრამა 18.



წყარო: საქსტატი

საწარმოებს შორის დიდი ზომის საწარმოა 1, 3 საშუალო ზომის, ხოლო 231 მცირე საწარმოა.

ქვეყნის ენერგეტიკის სექტორში ქედას თავისი ადგილი უჭირავს წყლის რესურსების გამოყენების თვალსაზრისით. რეაბილიტირებულია აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური და გაზრდილია გენერაციის ოდენობა. შენდება მდინარე აკავრეთაზე ახალი ჰიდროელექტროსადგური.

დიაგრამა 19.



წყარო: საქსტატი

ქედის ბიზნეს სექტორის გამოშვების მაჩვენებელი ლარებში გაზრდილია 2021 წლისთვის წია წლებთან შედარებით, ამასთან მართალია მცირედითმ 0,1%-ით არის გაზრდილი ქედის წილი აჭარის რეგიონში ბიზნეს სექტორის ბრუნვაში, თუმცა ასევე 0,1%-ით არის შემცირებული ქედის ბიზნეს სექტორის გამოშვების წილი აჭარის რეგიონში ბიზნეს სექტორის გამოშვების წილში.

დიაგრამა 20.



წყარო: საქსატატი

2021 წლისთვის გაზრდილია ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებელი, თუ 2020 წელს 770 ადამიანი იყო დასაქმებული, 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი უკვე 1015-ია.

დიაგრამა 21.



წყარო: საქსატატი

მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მონაცემები გენდერულ ჭრილში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით არ არის, ამიტომ სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზდა რეგიონალურ ჭრილში მაჩვენებლები და მის საფუძველზე გაკეთდა დაშვება, თუ როგორია მუნიციპალიტეტის წილი აღნიშნულ მაჩვენებლებში. ძირითადი შეფასება ეფუძნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობას და მის წილს რეგიონის ჭრილში.

ცხრილი 8.

	ქალი	კაცი	სულ
აჭარა	**31 157**	**41 816**	**72 973**
მსხვილი	8 275	6 690	14 965
საშუალო	6 162	7 795	13 958
მცირე	16 720	27 331	44 051

წყარო:საქსტატი

დიაგრამა 22.



წყარო: სამუშაო ჯგუფის შეფასებით

ქედის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი 2021 წელს წინა წლებთან გაზრდილია.

დაიგრამა 23.



წყარო:საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია შრომის საშუალო ანაზღაურება, თუმცა 2019 წელთან შედარებით მაღალია.

დიაგრამა 23.



წყარო: საქსტატი

ქედის მუნიციპალიტეტში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2021 წელს 16 მილიონი ლარია, რაც რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების 0,7%-ია.

დიაგრამა 24.



წყარო: საქსტატი

ქედის მუნიციპალიტეტში 2021 წელს შრომითი დანახარჯები იგივეა, რაც 2020 წელს, 1 მილიონი ლარით არის გაზრდილი 2019 წელთან შედარებით. რეგიონის შრომით დანახარჯებში 0,5%-ს შეადგენს.

დიაგრამა 25.



წყარო: საქსტატი

2021 წელს ქედაში ინვესტიციების რაოდენობა ფიქსირებულ აქტივებში 3 მილიონი ლარია, რაც მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის მზარდი და დინამიური განვითარებისთვის, მით უფრო რომ 2020 წელს ეს მაჩვენველი 0 იყო. აღსანიშნავია, რომ ქედაში ინვესტიციების რაოდენობა ფიქსირებულ აქტივებში აჭარის რეგიონის წილის 1%-ია.

დიაგრამა 26.



წყარო: საქსტატი

1.2.3. ტურიზმი

ტურისტული ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთი მატერიალური და არამატერიალური ობიექტების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ გარემოს მუნიციპალიტეტში ტურისტების მოზიდვის, დასვენებისა და გართობისათვის.

ქედის მუნიციპალიტეტში ბოლო 10 წელიწადში ტურისტული ნაკადის ზრდამ შექმნა გზებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების აუცილებლობა. დღეისათვის ყველა ტურისტული დანიშნულების ობიექტამდე მისასვლელი საავტომობილო გზები, ბილიკები და ხიდები რეაბილიტირებულია შესაძლებლობის ფარგლებში. ტრანსპორტით გადაადგილება ფერხდება მხოლოდ დროებით, ზამთარში დიდთოვლობის დროს. მოწესრიგებულია გზებზე არსებული საგზაო ნიშნები, ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების მიმანიშნებელი აბრები. წარწერები შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენაზე.

ბოლო წლებში ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოეწყო გზები, საპიკნიკე ადგილები, სველი წერტილები, ბილიკები, მოსაცდელები და გარე განათებიები 20-ზე მეტ ლოკაციაზე. მათ შორის მახუნცეთის ჩანჩქერის, წონიარისის ჩანჩქერის, გოდერძის ჩანჩქერის, კალაშხევის ჩანჩქერის, კავიანის ციხის, ზენდიდის ციხის, წონიარისის თაღოვანი ხიდის, დანდალოს თაღოვანი ხიდისა და ცივასულას ციხის მიდამოებში.

ტურისტებისათვის განსაკუთრებულად მიმზიდველია მისი ბუნებრივი გარემოსა და ცენტრალურ გზასთან სიახლობის გამო მახუნცეთის ჩანჩქერი, რომლის ყოველწლიური დამთვალიერებლის რაოდენობა 200000-ს აჭარბებს.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას მოიცავს ნაწილობრივ მტირალას ეროვნული პარკი, კერძოდ, პარკის ზონაში შედის რამდენიმე სოფელი.

ცხრილი 9

ქედის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები			
N	**დასახელება**	**მისამართი**	**მდგომარეობა**
1	ახოს მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახო	დამაკმაყოფილებელი მოქმედი
2	გეგელიძეების მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგელიძეები	დამაკმაყოფილებელი მოქმედი
3	გულების მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გულები	ძალიან ცუდი
4	ზესოფლის ციხე	ქედის მუნიციპალიტეტი, ზესოფელი	ძალიან ცუდი, (ციხის ნანგ. აშენდა ეკლესია)
5	ბზუბზუს მეჩეთი	ქედის მუნიციპალუიტეტი, სოფელი ბზუბზუ	ცუდი
6	კოლოტაურის მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლოტაური	კარგი. მოქმედი
7	მედრესე	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მილისი	საშუალო
8	მეძიბნის წყარო	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეძიბნა	საშუალო
9	ცივასულას ციხე	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. 1 მაისის მიდამო	ცუდი
10	უჩხითის მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი უჩხითი	კარგი მოქმედი
11	ქვედა მახუნცეთის მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვ.მახუნცეთი	ცუდი მოქმედი
12	ხიდი	ქედის მინიციპალიტეტი, სოფელი ქვედა ცხმორისი	დანგრეული შემორჩ. ბურჯი
13	ცხმორისის მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცხმორისი	საშუალო მოქმედი

14	ძენწმანის მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძრწმანი	ცუდი
15	წონიარისის თაღოვანი ხიდი	ქედის მუნიციპალიტეტი,	კარგი
16	ჭინკაძეების მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტი, ჭინკაძებ	ძალიან ცუდი
17	აქუცის ხიდი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი აქუცა	დანგრეული შემორჩ. ბურჯი
18	დანდალოს თაღოვანი ხიდი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი დანდალო	კარგი, რესტავრირებული
19	ზენდიდის ეკლესია	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზენდიდი	ძალიან ცუდი
20	ზენდიდის ციხე	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზენდიდი	ცუდი
21	კოლოტაურის ნეოლითური ხანის გამოქვაბული	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლოტაური	დამაკმაყოფილებელი
22	კორომხეთის საწნახელი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორომხეთი	დამაკმაყოფილებელი
23	მახუნცეთი თაღოვანი ხიდი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვ. მახუნცეთი	კარგი, რესტავრირებული
24	ოქტომბრის საწნახელი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოქტომბერი, აჯაშპირის უბანი	დამაკმაყოფილებელი
25	ციხე	ქედის მუნიციპალიტეტი, პ/მაისი (სოფელი საღორეთი)	ძალიან ცუდი
26	თაღოვანი ხიდი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი 1 მაისის მიდამოები (საღორეთი)	კარგი, რესტავრირებული
27	საცხოვრებელი სახლი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭინკაძეები	დამაკმაოფილებელი

28	შერვაშიძეების ნასახლარი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოქტომბერი	ცუდი
29	ზვარეს კოშკი	ქედის მუნივიპალიტეტი, სოფელი ზვარე	ცუდი
30	ზვარეს მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზვარე	ცუდი
31	კოკოტაურის მეჩეთი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოკოტაური	დამაკმაყოფილებელი

ტურისტული ნაკადის ზრდას ხელი შეუწყო ბოლო წლებში ფიჭური კომუნიკაციის საშუალებით ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობებმა.

მუნიციპალიტეტში სამი მოქმედი ეკლესიაა: ქედის წმ. ნიკოლოზის, ზვარის წმ. გიორგისა და ზესოფლის. მოქმედია ორი მუზეუმი, დაბა ქედაში ისტორიული მუზეუმი და ქვედა მახუნცეთში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მუნიციპალიტეტის ინიციატივით შექმნილია შპს „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“, რომელიც ორგანიზებას უწევს მუნიციპალიტეტში ტურისტთა მომსახურებას არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

მუნიციპალიტეტში 2010 წლისათვის არ ფუნქციონირებდა არცერთი სასტუმრო და არც საოჯახო სასტუმროს ტიპის სახლები. ტურისტული მომსახურების მოთხოვნიდან გამომდინარე, მოკლე დროში, ბოლო ათწლეულში, შეიქმნა სასტუმროს ტიპის ობიექტები, საოჯახო სასტუმროები და კემპინგები. დღეისათვის მოქმედებს 45 საოჯახო სასტუმრო, ერთი სასტუმრო და 81 კემპინგი. განსაკუთრებით დატვირთულია და ტურისტების მხრიდან მაღალი ინტერესია გამოხატული კოტეჯის ტიპის კემპინგებით სარგებლობის მხრივ, რომელთა დიდი ნაწილის მომსახურებით სარგებლობენ წლის ყველა სეზონზე.

ტურისტთა მომსახურების საინფორმაციო ცენტრი გახსნილია დაბა ქედაში, ხოლო საინფორმაციო ბანერი აწჰესის დასახლებაში და ცენტარალურ დასასვენებელ პარკში. დასასვენებელი ადგილების კუთხით მნიშვნელოვანია დაბა ქედაში რეაბილიტირებული ცენტრალური პარკი, 9 აპრილის ქუჩის სკვერი, აწჰესის დასასვენებელი პარკი, დანდალოს თაღოვან ხიდთან მოწყობილი საპიკნიკე, მერისის ტერიტორიაზე ე.წ. „გვახამორევთან“ მოწყობილი საპიკნიკე, კალაშხევის ჩანჩქერთან მოწყობილი საპიკნიკე და სხვები. ტურისტული ლოკაციის ადგილების ინტენსიურად ათვისება ხდება კერძო სტრუქტურების მიერ. ჩანჩქერებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის შემდგომ, მდინარის სანაპიროებზე მოწყობილია კაფეები და რესტორნები. იმართება ბაზრობები ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ხელნაკეთი ნივთების, სუვენირების რეალიზების მიზნით. დღეისათვის სულ ასეთი 27 კაფე-რესტორანი და სწრაფი კვების ობიექტი მოქმედებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის დამუშავებული და მომზადებულია 10 ტური შესაბამისი ტურისტული რუკებით და მარშრუტების აღწერილობით. დღეისათვის არსებული მარშრუტებია:

1. ბათუმი - ქედის ღვინის სახლი - ბზუბზუს ბუნებრივი მაცივარი - ზუნდაგის საწნახელი - მახუნცეთის თაღოვანი ხიდი - ჩანჩქერი.
2. მახუნცეთი - აწჰესის ჰიდროელექტროსადგური (სათავე ნაგებობა, გვირაბი, აკვედუკი) - ცივასულას ციხე - მიწის ხიდი - შერვაშიძეების ღვინის მეურნეობა (მარანი).
3. ქედა - ძენწმანის ქვის საწნახელი-ზენდიდის ციხე - ისტორიული მუზეუმი - წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია - ოქტომბრის საკალმახე მეურნეობა „აკავრეთა“.
4. ქედა - მერისი - ნამონასტრევი - მთა ღომა.
5. ქედა - მერისი - ნამონასტრევის ჩანჩქერი - მერისის ისტორიული მუზეუმი - მინერალური წყალი „გუნდაური“, სათევზია - მთა სასადილო, კოსლითავი.
6. ქედა - გულების ციხე - ზვარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია - ვაიო ლადო შავიშვილის ღვინის მეურნეობა (მარანი).
7. ქედა - ზვარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია - ჯაიმეელას ხიდი - მოსე ბერიძის ღვინის მეურნეობა (მარანი) - გობრონეთი (საოჯახო სასტუმრო).
8. ქედა - წმ. გიორგის სახელობის ეკლესია - მინერალური წყალი „კოკოტაური“ - კოკოტაურის საწნახელი-დანდალოს თაღოვანი ხიდი - კავიანის ციხე - ნური სირაბიძის ღვინის მეურნეობა (მარანი).
9. პირველი მაისი-ნოდარ შერვაშიძის ღვინის მარანი-მიწის ხიდი-ცივასულას ციხე-სოფელი აგარა-მტირალას ეროვნული პარკი;
10. ქედა - ისტორიული მუზეუმი - გულების ციხე - ზესოფლის წმინდა სერაფიმ საროველის სახელობის ეკლესია - ზვარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია-ქედა.

მოცემული ტურისტული მარშრუტებით ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ წლის ნებისმიერ სეზონზე და ყველა ტურს ჰყავს მომზადებული პროფესიონალი გიდები, რომლებსაც შეუძლიათ მოემსახურონ უცხოელ ტურისტებს. გიდების მომზადება უზრუნველყო აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა.

მუნიციპალიტეტს გააჩნია სამი საკურორტო ადგილი სხვადასხვა სამედიცინო პროფილით: კოკოტაური, ნამონასტრევი და საბადური, რომელთაგან დღეისათვის არცერთი არ მოქმედებს. საკურორტო ადგილის მონაცემები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 10

ქედის მუნიციპალიტეტში არსებული საკურორტო ადგილები					
საკურორტო ადგილია დასახელება	**საკურორტო ადგილის მახასიათებელი**	**სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)**	**საკურორტო ზონა**	**მინერალური წყლების ტიპი**	**სავარაუდო სამედიცინო პროფილი**
კოკოტაური	ბალნეოლოგიური	680	II-I ა	ნახშირმჟავა	გასტროენტეროლოგიური

ნამონასტრევი	ბალნეო-კლიმატური	850	II-I ა	ნახშირმჟავა	პროფილაქტიკური კარდიოლოგიური, გასტროენტეროლოგიური
საბადური	კლიმატური	1300	III ბ	ნახშირმჟავა	პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური

წყარო: ახალგაზდრა მეცნიერთა კავშირის ,,ინტელექტი"-ს კვლევის შედეგები 2011 წელი.

აღნიშნულ ტერიტორიებს კურორტის სტატუსი ჯერ არ აქვს მინიჭებული, მაგრამ მათ გააჩნიათ სამკურნალო ტურიზმის განვითარებისათვის საკმაო პოტენციალი შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში.

კოკოტაურს გააჩნია შესაძლებლობები განვითარდეს სამკურნალო და აგროტურიზმით. ასევე, სიახლოვეს აქვს ისტორიული ძეგლები დანდალოს თაღოვანი ხიდი და კავიანის ციხე.

ნამონასტრევს გააჩნია ეკოტურიზმის, სამკურნალო ტურიზმის, საცხენოსნო და სამონადირეო ტურიზმის პოტენციალი.

სამკურნალო და ეკოტურიზმის პოტენციალი გააჩნია საბადურს.

მთლიანობაში ქედის მუნიციპალიტეტს არსებული რესურსების გათვალისწინებით გააჩნია შემდეგი სახის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა:

- შემეცნებითი ტურიზმი;
- ეკოტურიზმი;
- სამკურნალო ტურიზმი;
- საცხენოსნო ტურიზმი;
- სამთო ტურიზმი;
- სასოფლო და აგრარული ტურიზმი;
- სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი;
- ღვინის ტურიზმი;

დღეის მდგომარეობით განვითარების გზაზეა ეკოტურიზმი. სამთო, სასოფლო, აგრარულ და შემეცნებით ტურიზმში ასევე საწყისი ნაბიჯებია გადადგმული. ტურისტებს მთებზე გადაადგილებისათვის ემსახურებიან კვადროციკლები, მდინარეებზე ნავებით მომსახურებას სთავაზობენ. ექსტრემალური სიტუაციების მოყვარულთათვის ბაგირებზე გასეირნებისათვის. დღეისათვის კვადროციკლებით მოჯირითეთათვის ორი მარშრუტია შერჩეული დოლოგანი-ჭინკაძეების ჩანჩქერი და მახუნცეთი-ნამლისევის მთა. მდინარეებზე სეირნობისათვის ნავებით მახუნცეთი-აჭარისწყლის მონაკვეთი. შემეცნებითი ტურიზმის მიმართულებით აღსანიშნავია ცივასულას, კავიანის და ზენდიდის ციხეები, მახუნცეთის, წონიარისის და დანდალოს თაღოვანი ხიდები, საღორეთის თაღოვანი ხიდი, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური, აქვედუკი, ქედის ისტორიული მუზეული, სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმი, ჯინისის 8000 წლოვანი ნამოსახლარი გამოქვაბული, კორომხეთის ქვის საწნახელი, ლაზური სტილის 100 წლოვანი ხის საცხოვრებელი სახლები და სხვა.

ეკოტურიზმის მიმართულებით საჭიროა განვითარდეს შემდეგი მარშრუტები: ქედა - მერისი - განახლება - ლოდნარა - სასადილოს მთა - კოსლითავი - ნამონასტრევი. აღნიშნული მარშრუტის განვითარების საფუძველი დაწყებულია. მერისის თემში შეიქმნა 13-ზე მეტი

დასასვენებელი და ადგილზე კვების შესაძლებლობის მქონე ხის კოტეჯები, რომელთა უმრავლესობა დატვირთულია წლის ყველა სეზონზე. ჩანჩქერებთან და ტურისტებისათვის საინტერესო ადგილებზე მოწყობილია საპიკნიკე ადგილები.

ქედა-გობრონეთი-ლატევრი-საბადურის მარშრუტი შედარებით მოყვარულთა მცირე ნაკადების ინტერესშია, ვინაიდან დღეის მდგომარეობით არ არის სათანადო ინფრასტრუქტურა, კერძოდ, არ არის ტურისტული ბილიკების მარკირება, სახიფათო უბნების სქემები შედგენილი.

საცხენოსნო ტურიზმის მიმართულებით განსავითარებელია ლაკლაკეთი (შუახევი), ნამონასტრევი, მერისი-კოსლითავის მთის მიმართულება, რისთვისაც საჭიროა სათანადო მომსახურების სფეროს ჩამოყალიბება (საჯინიბო, საწვრთნელი მინდორი, ღამისთევის კოტეჯები და სხვა), ვინაიდან ცხენების შენახვა და გაწვრთნა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. დღეს ამ მიმართულებით ინტერესი არ არის გამოხატული.

სამთო ტურიზმის მიმართულებით მნიშვნელოვანი მარშრუტია აგარა-ჩაქვისთავი, მახუნცეთი-ჩალეწილები, ახო-ხინო-ქობულეთი, რომელთაგან არცერთი არ არის დღემდე ათვისებული.

სასოფლო და აგროტურიზმის მიმართულებით არსებული პოტენციალი ნაწილობრივ არის განვითარებული, კერძოდ სოფლებში ვაიო, კორომხეთი, გეგელიძეები, პირველი მაისი, წონიარისი, გარეტყე, შეიქმნა აგრო ტურიზმის მიმართულებით საჭირო ინფრასტრუქტურა და ფერმერული მეურნეობები.

ქედის კლიმატიდან და ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან მიღებული ღვინის მაღალხარისხოვანი თვისებებიდან გამომდინარე, აქტიურია ღვინის ტურიზმის განვითარება. ამ მხრივ, მუნიციპალიტეტში აღდგენილია ღვინის მარნების ტრადიციები, სადაც ტურისტები აგემოვნებენ ცოლიკაურის, ჩხავერის, ოჯალეშის ჯიშებიდან მიღებულ ღვინოებს. საუკეთესოა სოფელ პირველ მაისში შერვაშიძეების, სოფელ ვაიოში შავიშვილების, სოფელ წონიარისში ტაკიძეების, სოფელ მოსიაშვილებში ავალიანების და სხვა ღვინის სახლები და მარნები.

მეთევზეობის მოყვარული ტურისტებისთვის მნიშვნელოვანია მთის მდინარეებში თევზაობა: მდინარე აკავრეთა, მდინარე ხოხნისწყალი, მდინარე აგოთისწყალი, მდინარე ოქტომბრის ღელე, მდინარე ახოსღელე და სხვა.

ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება და ტურისტებზე რეალიზაცია, როგორიცაა ხეზე კვეთა, ხალხური საკრავი ინსტრუმენტების დამზადება, სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადება, გოდრის და კალათების ქსოვა, ქარგვა და კინთვა. ქედის მუნიციპალიტეტში ხალხური რეწვის აღნიშნული სახეობები რამდენიმე სოფელშია გავრცელებული, მათ შორის მუსიკალურ ხალხურ საკრავ ინსტრუმენტებს ამზადებს მურად თავართქილაძე, ჭიბონის დამზადება, ღოღობერიძეები სოფელ ქვედა ბზუბზუდან-სალამურის დამზადება რევაზ სირაბიძე სოფელ კვაშტიდან, ფანდურის დამზადება-ილია ჯაბნიძე სოფელი ზვარედან, ხეზე კვეთა ფრიდონ და ზვიად ცეცხლაძეები სოფელი ზუნდაგადან, კობა ჯაბნიძე სოფელი ზვარე, ნოდარ გეგიძე სოფელი ახო, ასლან მახარაძე სოფელი ოქტომბერი, თხილამურის დამზადება რამაზ დუმბაძე სოფელი მეძიბნა, რესან ჟოჟაძე სოფელ უჩხითიდან ხისგან ხელოვნების ნიმუშების დამზადება. თურმანიძეები სოფელ ნამონასტრევიდან ხის მხატვრული ნიმუშების დამზადება.

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მახასიათებელია ინფრასტრუქტურის მდგომარეობა.

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურა**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდა. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების გზები ანგისა-ახალციხის 117 კმ. გზის 40 კილომეტრიანი მონაკვეთი და ქედა-მერისი-სილიბაურის 15 კმ. სიგრძის გზა, რომელთა სავალი ნაწილები ასფალტირებულია და უზრუნველყოფილია დამცავი ნაგებობებით, კიდეების გასამაგრებელი კედლებით, გზისპირა ზღუდარებით, შუქნიშნებით, საგზაო მონიშვნებით და სანიაღვრე არხებით. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის სოფლებში 664,2 კმ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია, რომლებიც აკავშირებენ თემისა და სოფლის ცენტრებს ცენტრალურ საავტომობილო გზასთან და სოფლების ცალკეულ უბნებთან, ამასთან, გზის დიდი ნაწილი უკავშირდება საზაფხულო საძოვრებს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს.

გზებზე მდინარეების გადაკვეთებზე თანამედროვე სტანდარტებით აგებულია გადასასვლელი ხიდები. სულ სასოფლო გზებზე მოწყობილია თანამედროვე სტანდარტის 18 მაღალი გამავლობის ხიდი და 30-ზე მეტი მცირე ტვირთამწეობის ხიდი. მათ შორის უკანასკნელ ათწლეულში ახლადაგებული ხიდების რაოდენობა შეადგენს 7 ერთეულს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ბოლო 5 წელიწადში ხიდების მშენებლობაზე დახარჯულია 2395749 ლარი.

ამ ეტაპისათვის, მუნიციპალიტეტის 63 სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზებიდან ყველა მოასფალტებული ან ბეტონირებულია. ასევე, სოფლის შიდა უბნებთან დამაკავშირებელი გზების 70% ბეტონირებულია და ეტაპობრივად მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის ბეტონირება. სასოფლო დანიშნულების გზების დიდ ნაწილს 660,2 კმ-ს აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტი უწევს მოვლა-პატრონობას და რეაბილიტაციას. ხოლო სოფლების გარეთ არსებული საავტომობილო გზების სავალი ნაწილების მოწესრიგება, საუბნო გზების რეაბილიტაცია, ბეტონირება და მოწესრიგება ეტაპობრივად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

უკანსკნელ 5 წელიწადში საგზაო ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბა ქედაში ღვინის ქარხნის მიდამოებში გასასვლელ და სამრეწველო ობიექტებთან მისასვლელ გზებს. სოფლებში ჩეტკიძეებში, ზენდიდში, ქოსოფელში, უბნებთან დამაკავშირებელ გზებს და სოფელ აბუქეთა-ცხმორისის, ტიბეთა-სირაბიძეების საავტომობილო გზებს. მიმდინარეობს სოფელ აქუცა-ვაიოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობა.

2018-2022 წლებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, ტურისტულ ობიექტებთან მოეწყო ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა, მათ შორის არის: კალაშხევის, გოდერძის, წონიარისის, კორომხეთის, მერისის ჩანჩქერებზე მისასვლელი გზები, ვარჯანისში ახლადშექმნილი ობიექტის შატო ივერის დამაკავშირებელი გზა. სულ ახლადაშენებული გზების სიგრძე 9,4 კმ-ია. გზების მოწყობის პარალელურად მოეწყო მგზავრთა მოსაცდელები და გარე განათება. სულ 118 მგზავრთა მოსაცდელია მოწყობილი, ხოლო გზის მონაკვეთების განათების მიზნით 2100 ერთეული ელექტრო ბოძია დამონტაჟებული, რომელთა სიგრძე 63 კმ-ია.

- ✓ **სატრანსპორტო მომსახურება**

მოსახლეობაში მგზავრთა მომსახურებას მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით უზრუნველყოფს კერძო მფლობელობაში არსებული მიკროავტობუსები და სამგზავრო ავტობუსები. გამონაკლისია მხოლოდ დაბა ქედაში მგზავრთა უფასო მომსახურებისათვის გამოყოფილი მუნიციპალური ერთი ერთეული ტრანსპორტი. ანალოგიურად, დაბაში მგზავრებს ემსახურებიან მსუბუქი ავტომობილები - ტაქსები, რომელთა რაოდენობა სრულად შეესაბამება მგზავრთა გადაყვანის საჭიროებებს.

მუნიციპალიტეტის 63 სოფლიდან 59 სოფელს ემსახურება სამარშრუტო ავტობუსები, რომელთა მარშრუტი დღეში ერთი რეისია ქ. ბათუმამდე და პირიქით. სულ სამარშრუტო ტრანსპორტის რაოდენობა 75 ერთეულია.

- ✓ **კეთილმოწყობა**

მუნიციპალიტეტში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცეებში გარემო. დაბის, თემის და სოფლების ცენტრებში ჩატარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები, რაც ითვალისწინებდა ქუჩების, სკვერების, პარკების, დასასვენებელი და თავშეყრის ადგილების, სველი წერტილების, გარე განათების სისტემების მოწყობას, შენობების ფასადების, დამცავი კედლების გარე საფარის, სახურავების აღდგენას და რეაბილიტაციას.

სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში კეთილმოეწყო ტბელ აბუსერიძის, ვაჟა-ფშაველას და აკაკი წერეთლის ქუჩები, რეაბილიტირდა კომერციული შენობები, საცხოვრებელი სახლების სახურავები, გარე ფასადები, მოეწყო ტროტუარები. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ბოლო 5 წელიწადში განახლდა გოგებაშვილის, აბაშიძის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სახოკიას ქუჩები, სადაც მოეწყო ტროტუარები, საცალფეხო ბილიკები. აღდგენილი იქნა წინა საუკუნეში მოწყობილი რკინა-ბეტონის კედლები.

ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა ზვარის, ცხმორისის, დანდალოს თემის ცენტრებში. კეთილმოეწყო საცალფეხო ბილიკები და კიბეები. 10-ზე მეტი საზაფხულო თავშეყრის ფანჩატური მოეწყო თემებსა და სოფლის ცენტრებში.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1650000 ლარი დაიხარჯა დაბა ქედაში ცენტრალური პარკის გაფართოების მიზნით, პარკს დაემატა კეთილმოწყობილი ტერიტორია, შეიქმნა სივრცე ხალხმრავალი ღონისძიებების გამართვისათვის. ცალკე სივრცეების შექმნა დაგეგმილია ხანდაზმულთათვის, ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის.

2018 წლიდან აქტიურად დაიწყო ქუჩებში გზებსა და დასახლებულ უბნებში გარე განათების პროგრამის განხორციელება. აჭარის მთავრობის მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 350000 ლარი ყოველწლიურად იხარჯება გარე განათების ბოძების მოწყობისათვის.

- ✓ **საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტში მოსახლეობა სარგებლობს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების შპს „მობიტელის“, შპს „მაგთიკომის“ და შპს „ჯეოსელის“ მომსახურებით. ფიქსირებულ სატელეფონო კავშირსა და ინტერნეტმომსახურებას უზრუნველყოფს შპს „სილქნეტი“. ამ დროისათვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საკაბელო ინტერნეტით მომსახურების გარეშეა. საკაბელო ინტერნეტით დაფარულია მხოლოდ დაბა ქედა და მომსახურებას მხოლოდ 400-მდე მომხმარებელი იღებს.

- ✓ **ენერგომომარაგება**

მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის 24-საათიან მიწოდებას უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, რომელიც 5449 აბონენტს ემსახურება, მათ შორის 5221

ფიზიკური პირია, ხოლო 228 - კორპორატიული. ყველა აბონენტი გამრიცხველიანებულია, გარდა სეზონურად მთებში ელექტროენერგიის მომხმარებელი აბონენტებისა.

ელექტროენერგიის განაწილების კუთხით ზაფხულის პერიოდში არ არის შეფერხებები. სოფლებში, სადაც ელექტროგადამცემი ხაზები მოძველებულ ხის ბოძებზე გადის, მკაცრი ზამთრის პირობებში ელექტროენერგიის მიწოდებისას შეფერხებაა.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით და ძვირადღირებული თხევადი გაზით სარგებლობს. სახელმწიფო დაფინანსებით დაწყებულია მუშაობა მუნიციპალიტეტის გაზიფიცირებისთვის. დღეისათვის დასრულებულია ცენტრალური გამტარი მაგისტრალის მშენებლობა, დაბა ქედასა და ახლომდებარე სოფლებში აგებულია გამტარი ქსელი, დარჩენილ სოფლებში გაზგამტარი მილების მონტაჟი ეტაპობრივად მოხდება, რის შემდგომაც მუნიციპალიტეტის უმეტესი სოფლების გაზიფიცირდება.

მუნიციპალიტეტში არსებული მთის მდინარეების პოტენციური ენერგია იძლევა შესაძლებლობებს ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის. დღეის მდგომარეობით მოქმედია მხოლოდ აწჰესის 15 მგვტ. სიმძლავრის ელექტროსადგური. მშენებლობის პროცესშია მდინარე აკავრეთას ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე სავარაუდოდ 2,5 მგვტ. იქნება. განიხილება საკითხი კორომხეთჰესის მშენებლობის თაობაზე, რომლისთვისაც წინასწარი კვლევის სამუშაოები ჩატარებულია.

- ✓ **წყალმომარაგება და სამელიორაციო ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტში შემავალი დაბისა და სოფლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლის უწყვეტი წყალმომარაგებით. დაბასა და სოფლებში მოქმედებს 21 საერთო სარგებლობის სასმელი წყლის მაგისტრალი და წყალმომარაგებით 1899 აბონენტი სარგებლობს. სოფლები, სადაც საერთო წყალმომარაგებისათვის ბუნებრივი რესურსი არ არის, სარგებლობენ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად გამართული სასმელი წყლის ქსელებით, რომლებიც იკვებება მთის მცირე დებეტიანი წყაროებით. ზაფხულის გვალვიან პერიოდში სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის სოფელ ვაიოსა და ინაშარიძეების მოსახლეობა.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სასმელი წყლის სისტემების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. პირველ რიგში, სასმელი წყლის ხარისხის ამაღლების მიზნით, დაბა ქედის წყალმომარაგების ქსელს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, შეიქმნა სამარაგო 500-ტონიანი აუზი, მფილტრავი დანადგარებით და ბიოლოგიური გაწმენდის მიზნით ავტომატური დაქლორვის აპარატურით. აშენდა 7 ახალი წყლის სისტემა ხარაულა-ჯალაბაშვილების, კოკოტაურის, გულები-ხუნკუდა-ზესოფლის, ზენდიდი-ცხემნის, კოლოტაური-კორომხეთის, მახუნცეთის, მილისის და ზუნდაგის წყლის მაგისტრალი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა აქუცის, დაბა ქედის, ღარათის, ზენდიდის, ორცვის, კვაშტის, ახოს, ცხმორისის, დოლოგნის და ქოსოფლის სასმელი წყლის სისტემებს. დაგეგმილია სოფელ ტიბეთაში, უჩხითსა და ვაიოში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობები, რომლის შესაბამისი პროექტები უკვე მომზადებული აქვ სს „აჭარის წყლის ალიანსს“.

დღეისათვის საერთო სარგებლობის წყლის სისტემები არ არის გამრიცხველიანებული. წყალი აბონენტებს უფასოდ მიეწოდებათ, რის გამოც წყლის რესურსები არამიზნობრივად გამოიყენება და ზოგიერთ უბანზე, ზაფხულის გვალვიან დღეებში, წყალმომარაგების პრობლემაა. თუმცა არსებული წყლის რესურსების დებეტი მაგისტრალებზე სრულიად საკმარისია. სასმელი წყლის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს, ხშირია ბიოლოგიური დაბინძურების

გამოვლენის ფაქტები. არასრულყოფილია სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობები. სათავე ნაგებობები არ არის დაცული ცხოველების მიერ დაბინძურებისაგან.

წყლის სისტემების მოვლა-პატრონობას აწარმოებს მუნიციპალიტეტის ქონების 100%-იანი წილის მფლობელი შპს „ქედის წყალკანალი“.

მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე მოხმარებული წყლის გამწმენდი ნაგებობები ფუნქციონირებს დაბა ქედაში, აწჰესის დასახლებაში, ზვარისა და ცხმორისის თემებში, რომელთა სიმძლავრე აკმაყოფილებს ჩაშვებული წყლების ოდენობას. წყლების გაწმენდა დასახლებულ ობიექტებზე ხდება სალექარებით და ქვიშოვან ნიადაგში გატარებით. მოხმარებული წყლები მთლიანად ჩაშვებულია მდინარეების კალაპოტში, რაც საბოლოოდ თავს იყრის მდინარე აჭარისწყალში. მოსახლეობის მიერ მოხმარებული წყლების გაუვნებელყოფის მიზნით მუნიციპალიტეტში არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ევროპული სტანდარტით მიღებული სისტემა. სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს მიერ მზადდება პროექტები, რომლის თანახმადაც უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია წყლების გაუვნებელყოფის შესაბამისი ნაგებობების მოწყობა დაბა ქედასა და იმ სოფლებში, სადაც წყალმომარაგების ახალი სისტემების მოწყობაა დაგეგმილი.

სოფლებში, სადაც შესაბამისი წყლის რესურსებია, მოწყობილია სამელიორაციო სისტემები. დღეისათვის მოქმედია 63 სარწყავი წყლის სისტემა, რომლებზეც მიბმული სარწყავი ფართობი შეადგენს 2350 ჰექტარს. მუნიციპალიტეტის მიერ სარწყავი არხების უმეტესი ნაწილი გადაცემულია აჭრის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ა(ა)იპ სამელიორაციო მართვის სამსახურზე. ბოლო ათი წლის განმავლობაში საჭიროებიდან გამომდინარე რეაბილიტაცია ჩაუტარდა კეხივრის, წონიარისის, ჩეტკიძეების, ხარაულა-ჯალაბაშვილების, ახოს, გეგელიძეების სარწყავ არხებს. ყოველი გაზაფხულის დადგომისთანავე ყველა არხს საჭიროებისამებრ უტარდება სარემონტო სამუშაოები.

1.4. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება

1.4.1. ჯანდაცვა და მომსახურების ხელმისაწვდომობა

2011 წლიდან ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ქედის მუნიციპალური საავადმყოფო, ქედის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრი, რომლისთვისაც ტიპიური შენობის მშენებლობა მიმდინარეობს ამჟამად. მოსახლეობას ემსახურება 12 ახალი სამედიცინო მომსახურების ავტომანქანა და 10 ამბულატორია, რომელთაც მართავს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ა(ა)იპ „სამედიცინო ჰოლდინგი“. 39 სოფელში მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსებული სამედიცინო პუნქტები.

მუნიციპალიტეტში მოქმედი საავადმყოფო, ამბულატორიები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სოფლის სამედიცინო პუნქტები დაკომპლექტებულია სამედიცინო დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა ქალია. სულ სამედიცინო დარგში დასაქმებულია 118 თანამშრომელი, აქედან 101 ქალია, 17 მამაკაცი. დასაქმებულ მამაკაცთა დიდი ნაწილი ტექნიკური პერსონალია. სამედიცინო სფეროს ყველა დაწესებულება უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ პერმანენტულად ფინანსდება შემდეგი მიზნობრივი პროგრამები:

- 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა;

- გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს იმ პაციენტთა დაფინანსებას, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით;
- მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება, ქვეპროგრამის მიზანია იმ პაციენტების სამედიცინო მომსახურება, რომელთა მკურნალობა ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში;
- უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობის პროგრამა. პროგრამის ბენეფიციარები არიან 300000 სარეიტინგო ქულაზე დაბალი ოჯახები, რომლებიც არიან ქორწინებაში და არ ჰყავთ შთამომავლები;
- ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებით სამედიცინო მომსახურების პროგრამა, რომელიც მოიცავს სიმსივნით დაავადებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო დახმარებას;
- მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამა, პროგრამა გულისხმობს 18 წელზე ზევით ორგანული სისტემით დაავადებული პაციენტების მომსახურებას;
- მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება - გულისხმობს სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსების დაფარვას, რომელიც არ ფინანსდება სხვა პროგრამებით;
- სახსრების ენდოპროთეზირების პროგრამა, ითვალისწინებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (დაზიანებული სახსრების ჩანაცვლება) დაფინანსებას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამები ხელმისაწვდომია ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები უზრუნველყოფს მოსახლეობის შესაბამისი ფენების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას და სოციალური პრობლემების მოგვარებას.

2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულია შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურების პროგრამები:

- ქრონიკული დაავადებით (ეპილეფსია და პარკინსონი) დაავადებული მოქალაქეების უზრუნველყოფა სპეციფიკური მედიკამენტებით. პროგრამა გულისხმობს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეპილეფსიით და პარკინსონით ქრონიკულად დაავადებული პაციენტების სამედიცინო პრეპარატებით უზრუნველყოფას. პროგრამის ბიუჯეტია 12000 ლარი და გათვლილია სოციალურად დაუცველ და შშმ პირებზე, სულ 14 ბენეფიციარზე;
- მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა საჭირო ღონისძიებების გატარება, პროგრამა ითვალისწინებს მძიმე ფსიქიკური აშლილობით დაავადებულ პირთა მომსახურებას მობილური გუნდის ჩარევით, მათი სტაციონარში განთავსებისათვის. პროგრამის ბიუჯეტია 3000 ლარი;
- ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების პროგრამა - გულისხმობს ბენეფიციართა დაფინანსებას ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსების მიზნით, ვისაც სარეიტინგო ქულა 200000-ზე ნაკლები აქვს, მათ შორის 100000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის შემთხვევაში ხარჯების 70%-ს ოდენობით. პროგრამის ბიუჯეტი წლის განმავლობაში შეადგენს 100000 ლარს;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რაც გულისხმობს ქრონიკულად დაავადებული პირებისათვის მედიკამენტების მიწოდებას ექიმის დანიშნულების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ 200 ლარის ფარგლებში ვაუჩერის სახით. პროგრამის ბიუჯეტი 2023 წლისათვის არის 350000 ლარი და გათვალისწინებულია 1750 ბენეფიციარზე;

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულია აგრეთვე სოფლის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით მომსახურება. სულ მუნიციპალიტეტის სოფლებში დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე 39 მედპერსონალი, რომელთაც

შრომის ანაზღაურებით, ინვენტარით და მედიკამენტებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. წლიურად აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 189600 ლარს. აღნიშნული პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის რთული გეოგრაფიული მდებარეობის პირობებში დროულად მოხდეს პაციენტებზე პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა, რაც უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სამედიცინო მომსახურების სფეროში;

- ამბულატორიების ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა გულისხმობს 10 სამედიცინო ამბულატორიის მაღალი გამავლობის მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფას. პროგრამის ბიუჯეტი 128400 ლარია. პროგრამის მიზანია ამბულატორიებიდან დაშორებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის დროული სამედიცინო მომსახურების გაწევა. პროგრამა მოიცავს ყველა თემსა და სოფელს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში იმ მოქალაქეთა წილი, რომელცი კერძო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობენ, ჯერ კიდევ მინიმალურია, ამიტომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებით სარგებლობს.

1.4.2. სოციალური მომსახურება

მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსება სოციალური პროგრამები, როგორიც არის:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები დიალეზის სახელმწიფო პროგრამებში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირება ქ. ბათუმში სამედიცინო დაწესებულებებში, პროგრამა ფინანსდება 30000 ლარით და ამჟამად სარგებლობს 13 პაციენტი;
- სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართული ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის პროგრამა, რაც გულისხმობს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ ბავშვთა ტრანსპორტირებას, რომლებიც ფიზიკური მონაცემების გამო ჩართული არიან სახელმწიფო სარეაბილიტაციო პროგრამებში. პროგრამის ბიუჯეტია 35000 ლარი და პროგრამით 35 მოზარდი სარგებლობს;
- მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების საჭიროებისათვის სახურავებით უზრუნველყოფის პროგრამა, პროგრამით გათვალისწინებულია 100000 ლარი და დაზიანებული სახლებისათვის სახურავის მასალის გადაცემა ეკონომიურად მცირე შემოსავლიანი ოჯახებისათვის, რაც ხელს უწყობს სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას;
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული ძველი ავარიული საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, პროგრამის ფარგლებში 2023 წელში გამოყოფილია 220000 ლარი, რითაც დაგეგმილია 5 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის;
- შინ მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების პროგრამა, ითვალისწინებს უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციარებზე ზრუნვას და ხელშეწყობას, მათზე სამედიცინო ჰიგიენური საგნების შესაძენად ფინანსურ დახმარებას ყოველთვიურად. პროგრამის ბიუჯეტი 180000 ლარია და მოსარგებლეა 110 პირი;
- ნულიდან 18 წლამდე ასაკის სპეციალურ კვებაზე მყოფი ბავშვებისათვის საჭირო პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება, პროგრამით განსაზღვრულია კვების სპეციალური რაციონით სარგებლობის 18 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების პროდუქტების შესაძენი ხარჯების დაფინანსება. პროგრამის 1 ბენეფიციარი ჰყავს და ბიუჯეტი 14400 ლარია;

- საქმიანობითი ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, პროგრამის მიზანია უსაფრთხო თემების ჩამოყალიბება, განვითარების ხელშეწყობა კატასტროფებისათვის მზადებით, ჯანმრთელობაზე ხელშეწყობის გაზრდით და სოციალური მხადრაჭერით, ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გარემოს შესაბამისად. პროგრამის დაფინანსება ხდება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წილობრივი მონაწილეობით, სულ 45000 ლარით, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 26200 ლარით და ხარჯები მიმართულია შუალედური შედეგების დასაფინანსებლად;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის ფინანსური დახმარების პროგრამა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყრული მოვლენების შედეგად რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების ან ხანძრის შედეგად განადგურებული საცხოვრებელი სახლების მცხოვრები ოჯახების დროებით საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინების დაქირავებას უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამა, მისი ბიუჯეტი 2023 წლისათვის შეადგენს 204000 ლარს და განსაზღვრულია 57 ოჯახზე;
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარების პროგრამა, გამიზნულია მარჩენალდაკარგული ბავშვების მარტოხელა მშობელზე ყოველთვიური ფინანსური დახმარებისათვის მათი მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის ბიუჯეტი 80400 ლარია და სარგებლობს 65 ოჯახი;
- ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის თანადაფინანსების პროგრამით სარგებლობს 30 ბენეფიციარი და წლიური ხარჯი შეადგენს 257 790 ლარს. პროგრამა ხორციელდება ასოციაცია „ანიკას“ მიერ ევროკავშირის დაფინანსებით (ბიუჯეტი 180 453 ლარი). პროგრამა შშმ პირებს ხელს უწყობს დამოუკიდებლად ცხოვრებასა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

გარდა მუნიციპალური პროგრამებისა, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სარგებლობს საქართველოს სოციალური დაცვის სააგენტოს შესაბამისი პროგრამებით. სააგენტოს მიერ მოსახლეობას მიეწოდება სხვადასხვა სახის მომსახურება პენსიების სხვადასხვა კატეგორიის შემწეობის, სახელმწიფო დაზღვევის პოლისების სახით.

გარდა ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებისა, ბიუჯეტიდან სარეზერვო ხარჯების ძირითადი ნაწილი იხარჯება სამედიცინო მომსახურების და სოციალური დახმარების ერთჯერადად დასაფინანსებლად, რომლის ოდენობამ 2022 წლისათვის შეადგინა 190789 ლარი.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება (ბიუჯეტის 4,7-% იხარჯება სოციალურ და სამედიცინო მომსახურებაზე), რაც განპირობებულია ბიუჯეტის შემოსავლების ზრდით.

მიუხედავად სამედიცინო სფეროში არსებული დადებითი ტენდენციებისა, ჯერ კიდევ არის რიგი პრობლემები, კერძოდ, სოფლის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედპერსონალის დაბალი შრომის ანაზღაურება, სხვადასხვა პროფილის ექიმების ნაკლებობა სამედიცინო ჰოსპიტალისათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური შემწეობის განაწილების პრინციპებისათვის მოქმედ რეგულეციებში. ჯერ კიდევ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც თავს მიიჩნევს სოციალურად დაუცველად და სიღარიბის ზღვარზე მყოფად არ კმაყოფილდება მათი განცხადებები, რის გამოც ისინი შედარებებს ახდენენ იმ ბენეფიციარების სოციალურ ყოფაზე, რომლებიც ღებულობენ შემწეობებს და მათზე გაცილებით უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები გააჩნიათ.

1.5. განათლება, კულტურა და სპორტი

1.5.1. განათლება

- ✓ **სკოლამდელი განათლება**

ქედის მუნიციპალიტეტში სულ 15 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს და სრულად აკმაყოფილებს აღსაზრდელთა მოთხოვნებს. მათგან 10 ტიპიურ შენობაშია განთავსებული, 5 კი - რეაბილიტირებულ შენობაში.

არსებულ ბაღებში დღეის მდგომარეობით 34 ჯგუფია, სადაც 511 აღსაზრდელი (მათ შორის 249 ბიჭი, 262 გოგო) იღებს სკოლამდელ განათლებას.

ყოველწლიური ხარჯი ბაგა-ბაღების შენახვისათვის 2887000 ლარია, რასაც ემატება შენობების სარემონტო სამუშაოების ხარჯები (საშუალოდ ყოველწლიურად 200000 ლარი). 2010 წლისათვის მუნიციპალიტეტში მოქმედებდა მხოლოდ 7 საბავშვო ბაღი და სოფლებში მცხოვრები ბავშვების უმეტესობა ვერ სარგებლობდა შესაბამისი სერვისით, სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსებისთვის 465000 ლარი იყო გათვალისწინებული.

საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია კვალიფიციური აღმზრდელ-მასწავლებლებით, რომლებიც ყოველწლიურად გადიან გადამზადებას, აჭარის განათლების სამინისტროს მიერ ტარდება ტრენინგები. ბაღებში დასაქმებულთა რაოდენობა 256 თანამშრომელს შეადგენს, მათგან 97% ქალია.

მუნიციპალიტეტში არსებული მცირემიწიანობის პირობებში ბაღების უმეტესობას არ გააჩნია საჭირო რაოდენობის ღია სივრცეები, საკმარისი ფართობის ეზოები და სათამაშო მოედნები, მხოლოდ ვაიოს, ხარაულის და დაბა ქედის N1 ბაღებს აქვს ეზოები.

მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის პირველი ნახევრიდან გაიზარდა ბაღებში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასები, ჯერ კიდევ დაბალია ანაზღაურება და საშუალოდ ერთი თანამშრომლის ხელფასი 500 ლარია.

- ✓ **ზოგადი განათლება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბასა და სოფლებში მოქმედებს 29 საჯარო და 11 საბაზო სკოლა. გარდა ამისა, დაშორებული სოფლებისათვის მოქმედებს საჯარო სკოლებზე მიბმული 30 დაწყებითი კლასი.

როგორც მთლიანად სახელმწიფოში, ქედის მუნიციპალიტეტში სრული ზოგადი განათლების პროგრამები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ მოსწავლეთა ვაუჩერიზაციის პრინციპით და იგი თანაბრად ხელმისაწვდომია შესაბამისი ასაკის ყველა მოქალაქისათვის.

მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და საბაზო სკოლების შენობების უმეტესობა აშენებულია გასულ საუკუნეში, თუმცა განვლილ 20 წელიწადში ყველა მათგანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მოეწყო თანამედროვე ტიპის გათბობის სისტემები. სკოლის ახალი შენობები აშენდა უჩხითის საჯარო სკოლის და კოკოტაურის საბაზო სკოლისათვის აჭარის განათლების, კულტურის სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ. სკოლები აღჭურვილია ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და ტექნიკური საშუალებებით. აჭარის განათლების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლების შენობებში მოეწყო მზის ენერგიაზე მომუშავე გათბობის

სისტემები. ყველა საჯარო სკოლას, განათლების სამინისტროს პროგრამით, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის ემსახურება სამარშრუტო ავტობუსები.

მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში შექმნილია პირობა ახალგაზრდობისათვის განათლების სერვისის მისაწოდებლად. სკოლებში დანერგილმა ინტერნეტსისტემამ საშუალება შექმნა, პანდემიის პერიოდშიც კი არ შეწყვეტილიყო სასწავლო პროცესი.

2023 წლიდან განხორციელდა სკოლებში მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი რეფორმა. ყველა საჯარო და საბაზო სკოლას ემსახურება ახლადდანიშნული მედიცინის დარგის მუშაკები.

2023 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის სკოლებში 2026 მოსწავლე და 581 მასწავლებელია. სახელმწიფოს მიერ უკანასკნელ წლებში ჩატარებული განათლების რეფორმის შედეგად პედაგოგთა უმეტესმა ნაწილმა გაიარა სერთიფიცირება და აიმაღლა კვალიფიკაცია. სულ სერთიფიცირება გაიარა 390 მასწავლებელმა. მინიმუმამდე შემცირდა საპენსიო ასაკის პედაგოგთა რაოდენობა. თუმცა ჯერ კიდევ არის კვალიფიციურ მასწავლებელთა დეფიციტი. დღეისათვის ვაკანსიების რაოდენობა შეადგენს 589 მასწავლებელს. 3 მასწავლებელი ასწავლის არასაკუთარი სპეციალობით. ნაკლებობაა უცხო ენების, ქიმიის და სხვა სპეციალობების მასწავლებლების. სკოლებში ისწავლება ინგლისური, რუსული და გერმანული ენები, სათანადო კადრის არყოლის გამო არ ისწავლება ფრანგული და სხვა ენები. განსაკუთრებული ყურადღება ინგლისური ენის შესაწავლას ეთმობა.

სკოლებში დასაქმებული პედაგოგების უმრავლესობა ქალია - 412; ხოლო მამაკაცი - 169.

გასულ 10 წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა პედაგოგთა შრომის ანაზღაურება. სერტიფიცირებული მასწავლებლების თვიური ხელფასი საშუალოდ შეადგენს 1500 ლარს, არასერტიფიცირებული პედაგოგის კი - 700 ლარს. პედაგოგთა ვაკანსიების შესავსებად პერიოდულად ცხადდება კონკურსები.

მიმდინარე 2023 წელს მუნიციპალიტეტში 12 კლასი 185 მოსწავლემ დაამთავრა, მათგან ოქროს მედალზე 13 მოსწავლემ, ხოლო 4 მოსწავლემ ვერცხლის მედალზე. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირებულია 82 მოსწავლე. 2023 წელს უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 126 აბიტურიენტი. სულ ქედის მუნიციპალიტეტიდან ამ ეტაპზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 413 სტუდენტი.

მიმდინარე მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე და მოსახლეობის კლების ტენდენციის გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა. 2011 წლისათვის სკოლებში 2909 მოსწავლე ირიცხებოდა, დღეისათვის 2026 მოსწავლეა, მათ შორის - 987 ბიჭი, ხოლო - 1039 გოგონა. პირველ კლასში მისაღებ მოსწავლეთა რიცხვი უკანასკნელ წლებში არცერთ სკოლაში ათეულს არ ღემატება. ზოგ საჯარო სკოლასა და დაწყებით კლასებში რიგ შემთხვევაში საერთოდ არ ჰყავთ პირველ კლასში მისაღები კონტიგენტი. 2022 წელს პირველ კლასში 168 მოსწავლე მივიდა, ხოლო 2023 წელს 147 მოსწავლე.

რაც შეეხება სკოლებში მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, 12 სააქტო დარბაზი, 20 სპორტული დარბაზი და 17 სამედეცინო პუნქტია. სკოლებში მოქმედებს ინტეგრირებული სასკოლო ბიბლიოთეკები, რომელთა კატალოგი მოიცავს 150000-მდე სასკოლო სახელმძღვანელოს და სხვადასხვა ლიტერატურას. გარდა სასკოლო ბიბლიოთეკებისა, დაბა ქედაში მოქმედებს ერთი ცენტრალური და ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა, თუმცა ინტერნეტმომსახურებისადმი გაზრდილი მოთხოვნის გამო მკვეთრად შემცირდა წიგნის მკითხველთა რაოდენობა.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოქმედებს სხვადასხვა წრეები და სახელოსნოები შრომითი უნარების ჩამოყალიბების მიზნით, კერძოდ - ცეკვის და სიმღერის, ქიმიის, ფიზიკის, უცხოენების შემსწავლელი წრეები და ხელგარჯილობის (ჭრა-კერვის) კლუბი. სიმღერისა და

ცეკვის 15 წრე, ისტორიის 1, მათემატიკის 3, უცხო ენების 2, სპორტული 4, ხელგარჯილობის 4 კლუბი.

სკოლების დაფინანსება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად ვაუჩერული სისტემით, ამიტომ მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირის გამო, ზოგიერთ საჯარო სკოლას აქვს ბიუჯეტის დეფიციტი, მაგალითად დანდალოს I და აქუცის საჯარო სკოლებს და საჭიროებენ დამატებით ვაუჩერიზაციის გარეშე დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლების მიმართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ზომების გატარებას.

- ✓ **პროფესიული განათლება**

„სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაცია თბილისის ბიურო“-სა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით სოფელ პირველ მაისში შექმნილია ა(ა)იპ ქედის სათემო განათლების ცენტრი, სადაც მოქმედებს ბუღალტერიის, ქსოვის, ხელსაქმის, კერვის, ქარგვის, კომპიუტერის საოფისე პროგრამების შესწავლისა და პროექტების წერის კურსები.

ასევე, განათლების სამინისტროს დაფინანსებით დაბა ქედაში შექმნილია კოლეჯი „ბლექსი“, სადაც პროფესიული ცოდნის მიღების მიზნით ხდება მსურველთა გადამზადება შემდეგ სპეციალობებში: მევენახეობა, მეღვინეობა და მეფუტკრეობა.

- ✓ **კულტურის სფერო**

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი წარმოშობისაა, რაც განაპირეობებს მათ დამოკიდებულებას და უნარ-ჩვევებს უძველესი ქართული ტრადიციული კულტურისადმი. დღევანდელი მდგომარეობით შენარჩუნებულია და აღორძინებას განიცდის ისეთი არამატერიალერი კულტურის ნიმუშები როგორიცაა ცეკვა განდაგანა, ხორუმი, ტრადიციული ხალხური სიმღერები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის სულიერი სიმდიდრის ნაწილია.

განსაკუთრებულია მოსახლეობის მხრიდან მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ შენარჩუნებულია მემკვიდრეობითი დამოკიდებულება.

მუნიციპალიტეტის სოფლებში შენარჩუნებულია ადრე არსებული ყველა კულტურული ობიექტი და დღემდე ფუნქციონირებს, რომელთა საქმიანობას ორგანიზებას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული ა(ა)იპ „ქედის კულტურის ცენტრი“.

მუნიციპალიტეტში 29 კულტურული დაწესებულებაა. მათ შორის 3 კულტურის სახლია და 25 სასოფლო კლუბია. სოფლებში, სადაც კულტურის სახლები არ არის, მოსახლეობისთვის სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება სოფლის სახლებსა და ღია ფანჩატურებში.

ქედის კულტურის ცენტრში მოქმედებს სიმღერისა და ცეკვის 23 კოლექტივი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმღერის გუნდი „ელესა“, რომელიც ძირითადად მუშაობს ძველი ტრადიციული ხალხური სიმღერების აღდგენა-განახლებაზე. ასევე, მოქმედებს ვოკალური ჯგუფები. სულ მოქმედ კულტურის დაწესებულებაში შექმნილია სიმღერისა და ცეკვის წრები, რომელთა დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით.

ცხრილი 11

ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებებში მოქმედი თვითმოქმედი კოლექტივები და შემოქმედებითი წრეები				
N	მოქმედი ანსამბლები და წრეები	რომელ კულტურის დაწესებულების ბაზაზეა შექმნილი	მონაწილეთა რაოდენობა	საქმიანობის შინაარსი
1	ანსამბლი „ელესა"	ქედის კულტურის სახლი	15	ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია
2	ანსამბლი „იაგუნდი"	ქედის კულტურის სახლი	9	ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა
3	გუნდი „მოყვარე"	მერისის კულტურის სახლი	11	ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა
4	ტრიო	ქედის კულტურის სახლი	3	ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა
5	კვარტეტი	ქედის კულტურის სახლი	4	ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა
6	ქალთა ვოკალური ჯგუფი	მერისის კულტურის სახლი	6	ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა
7	ანსამბლი ,,ბეთლემი"	ქედის კულტურის სახლი	23	ხალხური ცეკვების პოპულარიზაცია
8	ანსამბლი ,,ფესვები"	ცხმორისის კულტურის სახლი	6	ხალხური ცეკვების შესწავლა
9	ვოკალური ჯგუფი ,,იასამანი"	ქედის კულტურის სახლი	9	ხალხური სიმღერების შესწავლა
10	ჭრა-კერვის წრე	ქედის კულტურის სახლი	6	ტანსაცმლის კერვა

11	დეკორატიული ხელოვნების წრე	ქედის კულტურის სახლი	5	ნივთების დეკორატიული გაფორმება
12	დაწყებითი მოდელირებისა და ხელგარჯილობის წრე	ქედის კულტურის სახლი	6	დეკორატიული ნივთების დამზადება
13	ნორჩ დეკლამატორთა წრე	ქედის კულტურის სახლი	6	ღონისძიებების მართვის შესწავლა
14	სიმღერის შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	6	ხალხური სიმღერების მოძიება და აღდგენა
15	აჭარული ორნამენტით ქარგვის წრე	ქედის კულტურის სახლი	5	ტრადიციული აჭარული ქარგვის ხელოვნების პოპულარიზაცია
16	ჯვარედინი ქარგვის წრე	ქედის კულტურის სახლი	6	ხელით ქარგვის სწავლება
17	ქარგვის შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	5	ხელით ქარგვით ნივთების დამზადება
18	ქსოვის შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	5	ხელით ქსოვის ხელოვნების შესწავლა
19	საბან-ლეიბის დამზადების შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	5	ხელნაკეთი საბნების და ლეიბების დამზადება
20	გობლენის შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	5	ხალიჩების ქსოვის ხელოვნების შესწავლა
21	სამკერვალო მცენარეების შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	5	სამედიცინო სამკურნალო მცენარეთა შესწავლა

22	აჭარული ტრადიციული კერძების დამზადების შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	5	აჭარული ტრადიციული კერძების კულინარია
23	მინანქრის შემსწავლელი წრე	ქედის კულტურის სახლი	10	მინანქრის დამუშავება

წყარო: მუნიციპალიტეტის მერია

კულტურული ტრადიციული ღონისძიებების შენარჩუნებასა და გამრავალფეროვნების მიზნით შესაბამის პროგრამებს ახორციელებს მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და ძეგლთა დაცვის სამსახური. მათ მიერ ყოველწლიურად იმართება ისეთი ტრადიციული ღონისძიებები როგორიცაა:

- დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაფინანსება 5100 ლარი;
- 8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაფინანსება - 450 ლარი;
- სახალხო ზეიმი ,,შემოდგომა ქედაში", დაფინანსება - 20000 ლარი;
- შუამთობის საზეიმო ღონისძიება, დაფინანსება-10000 ლარი;
- ინტერმუნიციპალური ღონისძიება, რაც გულისხმობს ახალგაზრდობის და მოზარდების ჩართვას კულტურულ ღონისძიებებში, მათი ტრანსპორტით, კვების ხარჯებით უზრუნველყოფა ადგოლობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა, ქედის ხანდაზმულთა კლუბის ,,ღირსეული სიბერე" ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა.
- მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურული და ისტორიული ძეგლების ნაწილს ჩამოშლილი აქვს სანახაობრივი იერსახე. მათ შორის ზენდიდის ისტორიულ ციხეს და საჭიროებს რესტავრაციას. ჯერ კიდევ დაბალია მათი ცნობადობის ხარისხი. არ არის საკმარისი ერთიანი ხარისხიანი ინფორმაცია ინტერნეტ-სივრცეში, რაც მათი პოტენციურ მომნახველების რიცხვს ამცირებს. ასევე, არასაკმარისია ისტორიულ ძეგლებთან არსებული ინფრასტრუქტურა (გზები, განათება, სველი წერტილები), ნაკლებია კერძო სტრუქტურების ჩართულობა ისტორიული ძეგლების სანახაობრივი გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში ჩამოყალიბებული შპს „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი" აქტიურად მუშაობს აღნიშნული საკითხების მოგვარებისათვის.

დაბისა და სოფლის კულტურის დაწესებულებები განთავსებულია წინა საუკენეში აგებულ შენობებში, რომელთაგან უმრავლესობა მოითხოვს რეაბილიტაციას. განსაკუთრებით საყურადღებოა ქედის კულტურის ცენტრის შენობის მდგომარეობა, რომლის სარეაბილიტაციოდ, დღეისათვის მომზადებულია პროექტი, დაფინანსების საკითხის გადასაწყვეტია. წარმატებებით გამოჩეულია კულტურის ცენტრთან არსებული ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა", რომელიც ტრადიციულად ამზადებს აღსაზრდელებს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმეტების შესასწავლად. თუმცა სკოლა განთავსებულია შეუფერებელ შენობაში. ასევე, დაბალია კულტურის დაწესებულებებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბოლო წლებში არ მომხდარა მუსიკალური ინსტრუმენტებით, დასაჯდომი სკამებით მათი მომარაგება. სოფლის კლუბების დიდ ნაწილში დასაქმებულია არაპროფესიული (სპეც.განათლების არ მქონე) პირები, ვინაიდან შესაბამისი კადრების დეფიციტია.

ნაკლებადაა სოფლის კლუბებში ფოლკლორული კოლექტივები. დღეის მდგომარეობით სოფლად მოქმედი ფოლკლორული კოლექტივებიდან შენარჩუნებულია ტრადიციული ცეკვის და ხალხური სიმღერების გუნდები.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ათვისებისათვის აუცილებელია კულტურული ობიექტების მუშაობის გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს მათ ადგილზე დამაგრებასა და მიგრაციის შემცირებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, საზოგადოებრივად მიუღებელი ცუდი, მავნე ჩვევებისაგან განრიდებას, დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრას.

- ✓ **ფიზიკური აღზრდა და სპორტი**

მუნიციპალიტეტში სპორტს მეტნაკლებად მასობრივი ხასიათი აქვს და საზოგადოების დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სპორტულ ცხოვრებაში. სწორი სტრატეგიის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს გააჩნია საჭირო პოტენციალი, რაც უზრუნველყოფს წარმატებული სპორტსმენების გაზრდას, რომელთა შედეგები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ თვალსაჩინო იქნება. განსაკუთრებით ყურადსაღებია მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი ინტერესი სპორტის სხვადსხვა სახეობებისადმი.

სპორტის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, რომლის უმეტესი ნაწილი უკანასკნელ წლებში შეიქმნა.

მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილია ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლა“, რომლის ფუნქციებში შედის სპორტული კოლექტივების მართვა, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, წარმატებული ფიზიკური მონაცემების მქონე ახალგაზრდობის გამოვლენა, სპორტის მასობრიობის უზრუნველყოფა. სპორტული სკოლის განკარგულებაშია სპორტული მოედნები, დარბაზები, საფეხბურთო სტადიონი, საჭიდაო დარბაზი, სპორტდარბაზი დაბა ქედაში, ახალი მინისპორტული მოედნები დაბასა და სოფლებში, ჩოგბურთის კორტები და ფრენბურთის მოედანი. ქედის ბაზაზე მოქმედებს საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი“ და სარაგბო კლუბი „ფირალები“, მათგან საფეხბურთო კლუბი ბეთლემი წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატის მესამე ლიგაში. შემდგომ კლუბის აღორძინების მიზნით, კლუბის მართვის უფლებით გადაიცემა შპს „ტექნო ჯგუფი“-ზე სათანადო პირობებით.

მზადდება ძვირადღირებული პროექტი დაბა ქედაში არსებული სტადიონისა და სხვა სპორტული ობიექტების ბაზაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და ხელს შეუწყობს მაღალი დონის სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. შესაბამისად, გაზრდის ახალგაზრდობის დაინტერესებას სპორტით.

ქედის სპორტული სკოლის ორგანიზებით და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედებს ჭიდაობის, ჭადრაკის, ფეხბურთის მოყვარულთა, მძლეოსნობის და სხვა წრეები.

მუნიციპალიტეტს გააჩნია თავისი ტრადიციები სპორტსმენთა წარმატებების კუთხით, განსაკუთრებული მიღწევებია შემდეგ სახეობებში:

- ჭიდაობა;
- მძლეოსნობა;
- ჭადრაკი;

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით ტარდება რიგი სპორტული ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სპორტის მასობრიობას და პოპულარიზაციას. სულ 2023 წლისათვის სპორტული ღონისძიებების კუთხით 32 ქვეპროგრამის დაფინანსებაა დაგეგმილი, მათ შორის:

- ადგილობრივ და რესპუბლიკურ ტურნირებში მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდების მხარდაჭერა;
- სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და 2023 წ-ში ქედის მუნიციპალიტეტის გუნდების მონაწილეობის მხარდაჭერა;

- გიორგი ხინჩეგაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში;
- აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში;
- 8, 12 და 16 წლამდე ასაკის ჭაბუკებისათვის, მინი ფეხბურთის მასტერლოგა 7 X 7, რომელთა წლიური ბიუჯეტი შეადგენს 80000 ლარს.

ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის ბაზაზე შექმნილია 9 სპორტული სექცია, სადაც მოქმედებს 16 ჯგუფი, მათ შორი:

1. ფრენბურთის - 1 ჯგუფი;
2. თავისუფალი ჭიდაობის - 4 ჯგუფი;
3. ქართული ჭიდაობის - 2 ჯგუფი;
4. კალათბურთის - 2 ჯგუფი;
5. ჭადრაკის - 2 ჯგუფი;
6. მაგიდის ჩოგბურთის - 2 ჯგუფი;
7. კიკბოქსინგის - 1 ჯგუფი;
8. კლასიკური ჭიდაობის - 1 ჯგუფი;
9. გოგონათა ფეხბურთის - 1 ჯგუფი.

სასპორტო სკოლის აღზრდილი სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გამართულ ჩემპიონატებში.

სპორტული მიღწევების, სპორტის პოპულარიზაციის და მასობრიობის დანერგვისათვის მნიშვნელოვანია შემდგომში შესაბამისი ინფრასტრუქტურის და მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, მწვრთნელების კვალიფიკაციის ამღლება და მატერიალური დაინტერესება, სპორტის ახალი სახეობების დანერგვა, წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება და ცნობადობის ამაღლება, პროფესიულ სპორტში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობრივი ზრდა.

1.6. გარემოს დაცვა

1.6.1. სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენები, ეკოლოგიური მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების გააქტიურებაში მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი: კლიმატური, გეოლოგიური, ადამიანთა სამეურნეო და სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული ფაქტორები. ტერიტორიები ძირითადად წარმოადგენს გორაკ-ბორცვიან რელიეფს. მათ გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა წარმოშობის ვულკანოგენური წარმონაქმნები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური ნალექებით, თიხა-თიხნარებით და სხვა მასალების ჩანართებით. ეს წარმონაქმნები უმეტეს შემთხვევაში ქიმიურად გამოფიტულია და ხასიათდება მკვეთრად დაქვეითებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარებისათვის. ამ პროცესების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე რელიეფის მორფოლოგია, არსებულ ფერდობების ციცაბოდ დახრილობა. ციცაბო რელიეფის 25 გრადუსზე მეტი დახრილობის შემთხვევაში ჭარბი ატმოსფერული ნალექის არსებობის დროს ხდება ქანების გაწყლოვანება, როგორც ზედაპირულად, ასევე გრუნტის სიღრმეში, რაც იწვევს გაწყლოვანება-გადამძიმებას და ხდება სუსტი სტატიკური წონასწორობის დარღვევას და გრავიტაციული პროცესების განვითარება. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული ფართობები კვლავ გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულად ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად, რაც ზეგავლენას ახდენს მეწყრული პროცესების გააქტიურებაზე. მცირემიწიანობის

პირობებში და ჭარბმოსახლეობის გამო, მოსახლეობა არ იზღუდება აღნიშნული ფართობების გამოყენებისათვის.

გეოლოგიური პროცესის გააქტიურებას ყველაზე მეტად ხელი შეუწყო განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ადრეულ პერიოდში 25-40 გრადუსიანი დახრილობის ფერდობების სავარგულებისათვის ათვისებამ, რამაც გამოიწვია ნიადაგების ეროზია და მეწყერები. დღეის მდგომარეობით ასეთი ფართობების გამოყენება მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ მათი ტყის საფარით დაფარვის პროცესი არ არის დასრულებული. ნიადაგებში ეკოსისტემების გაღვივებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სოფლებში მოხმარებული სასმელი წყლების უმისამართო დინებებმა, საავტომობილო გზებზე წვიმების დროს წარმოქმნილმა ნიაღვრებმა. ასევე, გასული საუკუნის ბოლოს მთიან პირობებში ტყეების მასიურმა გაჩეხვამ, ტყის მასივებში საავტომობილო გზების მასშტაბურმა მშენებლობებმა და მშენებლობის დროს აფეთქებების და მძიმე წონიანი ტექნიკების გამოყენებამ, გეოლოგიის სპეციალისტთა რეკომენდაციების შეუსრულებლობამ.

ცხრილი 11				
ქედის მუნიციპალიტეტში სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარების ზონები				
სოფელი	**გეოლოგიური პროცესები**	**სამარშრუტო ხარისხი**	**ობიექტები, რომლებიც შესაძლებელია მოექცნენ საშიშ ზონაში**	**საინჟინრო გეოლოგიური თავისებირებები**
ჯალაბაშვილები **კოკოტაური** **ახო** **გულები**	მეწყერი და ეროზიული პროცესები	მაღალი	საცხოვრებელი სახლები, საავტომობილო გზები და შენობა-ნაგებობები	ატმოსფერული ნალექების სიუხვე, ქანების არამდგრადობა, გრუნტის წყლები, ქმნის ხელსაყრელ პირობებს მეწყრული მოვლენების განვითარებისათვის
უჩხითი **ქვედა გზუბზუ** **ზედა გზუბზუ**	მეწყერი, ღვარცოფი	საშუალო	საცხოვრებელი სახლები, საავტომობილო გზები	ტუფოგენური ნალექებით წყლის გაჯერების შემთხვევაში იქმნება არახელსაყრელი პირობები მეწყრული მოვლენების განვითარებისათვის
შენიშვნა: შედარებით დაბალი რისკის ზონებშია სოფლების - ოქტომბერი, მეძიბნა, დანდალო, მერისის ტერიტორიები.				

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებით ბოლო ხუთი წლის პერიოდში აქტიურად დაიწყო სოფლებში მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, რისთვისაც ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოიყოფა 1500000 ლარი. ცალკეულ კრიტიკულ უბნებზე, გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხდება ფერდსამაგრი კედლების, სანიაღვრე არხების და ჩამოქცეული ფერდობებიდან მიწის მასების გატანა. ბოლო წლებში ანალოგიური 227 პროექტი განხორციელდა 60-მდე სოფელში. მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა მდინარე აჭარისწყლისა და აკავრეთას ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის. 975 გრძივ მეტრზე მოეწყო ნაპირდამცავი ჯებირები.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერიოდულად ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტების მოწვევა და სტიქიური მეწყრული პროცესების შესწავლა. სპეციალისტთა დასკვნის საფუძველზე ხდება გამაგრებითი სამუშაოების დაგეგმარება, მეწყერში მოყოლილი მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის ზომების გატარება. ადამიანთა სიცოცხლისათვის რისკის შემცველი უბნებიდან ხდება ოჯახების დროებით უსაფრთო გარემოში გაყვანა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით. ხოლო საცხოვრებლად უვარგისი პირობების დადგენის შემთხვევაში ხდება ოჯახების განსახლება სხვა საცხოვრებელ გარემოში. 2021, 2022, 2023 წლებში ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამაში სულ ჩასმულია 61 ოჯახი, მათგან საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდა 51 ოჯახი. დამატებითი კვლევების ჩატარების შედეგად საექსპერტო-საინჟინრო კვლევით დადგინდა სოფელ გულებსა და კოკოტაურში 24 ოჯახის რისკის ზონაში არსებობა და მიმდინარეობს მუშაობა მათი განსახლების პროგრამაში ჩასმის მიზნით. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ეკომიგრანტთა ოჯახებისათვის ფინანსურ დახმარებას 40000 ლარის ფარგლებში.

დასახლებულ ტერიტორიებზე წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების შედეგად უკანასკნელ პერიოდში საცხოვრებელ სახლებსა და სხვა ინფრასტრუქტურას საფრთხე არ შექმნია. თუმცა საცხოვრებელი სახლების დაზიანება ყოველწლიურად ხდება ხანძრის შედეგად, გასულ სამ წელიწადში ხანძრის შედეგად განადგურდა 3 საცხოვრებელი სახლი, რომელთა ზარალის ანაზღაურება მოხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, თითოეულზე 10000 ლარის ფარგლებში.

სტიქიით დაზარალებული ოჯახების ადგილზე განსახლებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობის პირობებში ხდება მათი გასახლება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018-2022 წლებში აშენდა და საცხოვრებლად გადაეცა 32 ოჯახს ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. დაგეგმილია დამატებით ახალი მრავალბინიანი 9 სართულიანი სახლის მშენებლობა ანალოგიური კატეგორიის დაზარალებული ოჯახებისათვის, რომლისთვისაც უკვე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

1.6.2. საყოფაცხოვრებო და ინერტული ნარჩენების მართვა

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2017 წლის 29 დეკემბრის N85 განკარგულებით დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმის საფუძველზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება დასახლებული პუნქტების 85%-ში. 2018 წლამდე სერვისი მხოლოდ დაბისა და 7 თემის ცენტრებში მცხოვრებ მოსახლეობასა და კომერციულ ობიექტებს მიეწოდებოდა. დღეის მდგომარეობით დასახლებულ პუნქტებში, კომერციულ ობიექტებსა და საწარმოების სიახლოვეს

განთავსებულია სულ 306 კონტეინერი, რომელთაგან დაგროვილი ნარჩენების შეგროვება და გადატვირთვა ხდება ყოველ მესამე დღეს.

ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით მომსახურების სერვისი მიეწოდება დაბასა და სოფლად მცხოვრებ 14100 ბენეფიციარს. აგრეთვე ქედის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო, სამეწველო და მომსახურების სფეროს 176 ობიექტს. მომსახურების გარეშე დარჩენილია სოფლებში ცენტრებიდან დიდი მანძილით მოშორებული დასახლებული პუნქტები, რომელთა მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება ინდივიდუალურად მოწყობილ ორმოებში. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო ნაგავსაყრელები არ გამოვლენილა. ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოიქმნება 31000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, საიდანაც 26350 ტონა, ნარჩენის ორგანიზებულად გროვდება და ხელვაჩაურის ნაგავსაყრელზე თავსდება. დღეის მდგომარეობით გადაუტვირთავი ნარჩენები გროვდება სპეციალურად მოწყობილ ორმოებში. 2024 წლისათვის დაგეგმილია შესაბამისი ტექნიკის შეძენა და სერვისის მიწოდება მთლიან ტერიტორიაზე.

დღეისათვის მოუწესრიგებელია ინერტული ნარჩენების მართვის საკითხი და მოსახლეობის მიერ დაგროვილი ამ სახის ნარჩენები გამოიყენება სამშენებლო ტერიტორიების შესავსებად. მიმდინარეობს მუშაობა ინერტული ნარჩენების განთავსებისთვის საჭირო ტერიტორიის მოძიებაზე.

2023 წლის თებერვლის თვეში საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2023-2027 წლისათვის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 2027 წლისათვის ნარჩენების სრულყოფილად შეგროვებას და გატანას, რისთვისაც დამატებით დაგეგმილია ორი ნაგავმზიდის და კონტეინერების შეძენა. ყოველწლიურად ბიუჯეტიდან ნარჩენების მართვისათვის ბიუჯეტიდან იხარჯება 765900 ლარი.

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ქედის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, მისი ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ქედა.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია.

საკრებულო არჩევითი ორგანოა და მისი წევრთა რაოდენობა შეადგენს 21 დეპუტატს, მათგან 7 მაჟორიტარია და 14 პროპორციულად არჩეული წევრია

საკრებულოს ხელმძღვანელი საკრებულოს მიერ არჩეული თავმჯდომარეა, რომელსაც არჩეული 3 მოადგილე ჰყავს.

საკრებულოში საკითხთა წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მიზნით შექმნილია ხუთი მუდმივმოქმედი კომისია:

1. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;
2. სოციალურ საკითხთა კომისია;
3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის და ინფრასტრუქტურის კომისია;
4. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისია;
5. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;

მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ორი ფრაქცია:

1. ქართული ოცნების ფრაქცია;
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქცია.

მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქმიანობას თავისი სამსახურების მეშვეობით. მერიას ხელმძღვანელობს ამომრჩევლებისგან არჩეული მერი, რომელსაც ჰყავს დანიშნული ვიცე მერი და მოადგილე. მერიაში ფუნქციონირებს 9 სამსახური:

1. ადმინისტრაციული სამსახური;
2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
3. ეკონომიკური განვითარების სამსახური;
4. სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური;
5. განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური;
6. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;
7. შიდა აუდიტის სამსახური;
8. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური;
9. ზედამხედველობის სამსახური;

ქედის მუნიციპალიტეტი შედგება 10 ადმინისტრაციული ერთეულისაგან:

1. დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეული;
2. დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეული;
3. ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეული;
4. ზვარის ადმინისტრაციულ ერთეული;
5. წონიარისის ადმინისტრაციულ ერთეული;
6. პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეული;
7. მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეული;
8. დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეული;
9. ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეული;
10. მერისის ადმინისტრაციულ ერთეული;

მერიის მიერ სახელმწიფო სერვისების მიწოდების გამარტივების, წყლის სისტემების, ნარჩენების მართვის, სატრანსპორტო სისტემების მართვის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ოთხი შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება, რომლებიც დაფუძნებულია და ფლობს მუნიციპალურ ქონებას და მერია მათში 100%-იანი წილის მფლობელია:

1. შპს ,,ქედის წყალკანალი“ - უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის წყლის სისტემების მართვას და მოვლა-პატრონობას;
2. შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი“ - უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების ორგანიზებულად შეგროვებას და ტრანსპორტირებას;

3. შპს ,,ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ - უზრუნველყოფს მუნიციპალური ტრანსპორტის სამგზავრო და სამედიცინო მომსახურეობისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის და სამგზავრო კერძო მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების მართვას;

4. შპს ,,ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ცენტრი“ - უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის დარგის მართვისა და აღორძინების ხელშეწყობისათვის საჭირო პირობების ჩამოყალიბებას.

ანალოგიურად განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების მართვის გამარტივებისა და სრულყოფის ორგანიზებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ხარჯზე შექმნილია დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტები ასასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები (ა(ა)იპ), რომელთა საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი წესდებებით და მოქმედი ხელშეკრულებებით. მუნიციპალიტეტში მოქმედებს სულ ხუთი ა(ა)იპ, რომელთა საქმიანობის სფეროები მკვეთრად გამიჯნულია და არ არის ერთიმეორესთან თანხვედრაში:

1. ა(ა)იპ - ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება, საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდის (ბაგა-ბაღების) დაწესებულებების მართვა. მათი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, სწავლა-აღზრდისათვის სათანადო პირობების შექმნა და ბავშვთა კვებისა და დასვენების დადგენილი ნორმების დაცვა;
2. ა(ა)იპ - ქედის სასპორტო სკოლა, საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი პირობების შექმნა. მოზარდებში სპორტული უნარ-ჩვევების გამოვლენა და მათი სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;
3. ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული დაწესებულებების, კლუბების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების საქმიანობის მმართველ რგოლს;
4. ა(ა)იპ - ქედის მუსიკალური სკოლა, უზრუნველყოფს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისათვის მუსიკალური განათლების შესაბამისი პროგრამების განხორციელებას;
5. ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმის, საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ქედის ისტორიული მუზეუმის, სოფელ გეგელიძეებში პოეტ ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმის მუშაობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკვლევი ექსპედიციების მომზადება ჩატარების ორგანიზება.

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის დაგეგმარება ხდება პროგრამული წესით და გენდერული ბიუჯეტის პრინციპების გათვალისწინებით. ამასთან, მუნიციპალიტეტის მთლიან ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების წილმა 73%-ს მიაღწია, რაც იძლევა საშუალებას მნიშვნელოვნად გაიზარდოს მოსახლეობაზე მიწოდებული სერვისების რაოდენობა და შესაბამისი ფინანსირება.

2021 წლიდან ფინანსდება ახალი პროგრამა მონაწილეობითი ბიუჯეტი, რომლის ხარჯები 1500000 ლარია წლიურად და მოქმედი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მსგავსად იხარჯება ბენეფიციართა მხრიდან შერჩეული და კონკურსში გამარჯვებული პროექტებისათვის. დაფინანსებული სოციალური პროგრამების რაოდენობა გაიზარდა 15 ერთეულამდე და შესაბამისად ხარჯები გაიზარდა 1375000 ლარამდე.

დაინერგა სიახლეები სერვისების მიწოდების კუთხით, კერძოდ დაბის მოსახლეობის ბიუჯეტის დაფინანსებით უფასოდ ემსახურება სატრანსპორტო საშუალება მგზავრთა გადაადგილებისათვის.

უახლოეს წლებში ბიუჯეტის ხარჯებით შეძენილია მძიმე ტექნიკა, თვითმცლელი ექსკავატორი, ტრაქტორი, მათი გამოყენებით საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტის ხარჯებით ხდება ბენეფიციარზე სათანადო მომსახურების გაწევა. კომერციული მომსახურების თვალსაზრისით მიწოდებულმა სერვისებმა მთლიანად მოსახლეობაზე გაანგარიშებით მიაღწია 85%-ს და 2024 წლისათვის დაიგეგმა დარჩენილ 15%-ზე მომსახურების შესაბამისი სერვისის მიწოდება, რაც გათვალისწინებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით.

თვითმმართველობის მხრიდან მოსახლეობის ცნობადობის ამაღლებისა და მიწოდებული სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით აუცილებელია ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების თაობაზე მათი ინფორმირების საშუალებების გამოყენება. ასევე, გენდერული ბიუჯეტის ფორმების გამოყენება დაგეგმარების დროს, რომ მიწოდებულ სერვისებზე წვდომა თანაბარი იყოს ყველასათვის.

- ✓ **გენდერული თანასწორობა**

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების დამკვიდრებისათვის მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო 2018 წლიდან. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022-2025 წლებისათვის შემუშავებული და დამტკიცებულია გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და განვითარების პრიორიტეტებს. მუნიციპალიტეტის მმართველობით ორგანოში მერიაში ადმინისტრაციულ სამსახურში ორი საშტატო ერთეული დათმობილია გენდერულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებზე. ჩამოყალიბდა და მოქმედებს დედათა და ბავშვთა კეთილმოწყობილი ოთახი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიური საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის სოფლებში ქალთა აქტიურობა და ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის, პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში 14%-დან გაიზარდა 33%-მდე. შემცირდა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლინების შემთხვევები. 2022 წლის მონაცემებით ქალთა მიმართ ძალადობის 8 ფაქტია დაფიქსირებული, 2022 წელში 5 ერთეულზე ნაკლები.

2020-2022 წლის მონაცემებით ახალდასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის 34% ქალია. განსაკუთრებით ყურადსაღებია ახალგაზრდობაში ვაჟებისა და გოგონების თანაბარი რაოდენობები სპორტულ აქტივობებში ღია სტადიონების და დარბაზებში ქალთა მონაწილეობის სიხშირე. სპორტულ სექციებში მონაწილე სორტსმენთა შორის გოგონებისა და ვაჟების რაოდენობა თანაბარია, თუ არ ჩავთვლით საფეხბურთო კლუბი ბეთლემში მონაწილე ვაჟების რაოდენობრივ მეტობას.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით 2022 წლიდან მოქმედებს პროგრამა მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის.

მუნიციპალიტეტში ინერგება გენდერული ბიუჯეტის შემუშავების პრაქტიკა. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაში აქტიურად არ არის ჩართული სამოქალაქო და ბიზნეს

სექტორი. დაცულია მონაწილეობითი ბიუჯეტის განხილვისას ქალთა ინიციატივები. 2022 წელს წარმოდგენილი იყო ქალების მიერ 38 პროექტი, გაიმარჯვა მხოლოდ 7-მა პროექტმა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ.

დიაგრამა 27.



წყარო: მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი (დაზუსტებული) და 2024 წლის პროექტი.

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელა 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება.

ქვემოთ მოცემულია დიაგრამა ქედის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების გადასახდელების მაჩვენებელის შესახებ.

დიაგრამა 28.



წყარო: მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი და 2024 წლის პროექტი

დიაგრამა 29.



წყარო: მუნიციპალიტეტის მერია; 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

1.8. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• მუნიციპალიტეტის ტერიტორიული მდებარეობა, ბუნებრივი მრავალფეროვნება და საზღვრებთან სიახლოვე; • დიდ ქალაქებთან, სატრანსპორტო კვანძებთან სიახლოვე (საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო); • გასაღებისა და მომარაგების ბაზრებთან სიახლოვე (ქ. ბათუმი ამ ეტაპისათვის ფართო მოთხოვნების ბაზარია); • ენერგეტიკელ რესურსებთან სიახლოვე, ჰიდროელექტრო სადგური „აწჰესი“ და ახლადმშენებარე „აკავრეთა ჰესი“; • სასარგებლო წიაღისეული ოქროსა და სპილენძის მდიდარი საბადოები; • მდინარე აჭარისწყლის აუზის ქვიშა-ხრეშისა და ანდეზიტო პორფილირების საბადოების ინდუსტრიული მარაგები; • მინერალური და მთის მიწისქვეშა წყლების სიმძლავრე; • მდინარეების, ბუნებრივი ჩანჩქერების სიმრავლე; • ისტორიული სანახაობრივი და დასვენების ადგილების სიმრავლე; • მრავალფეროვანი ტყის მასივები; • ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები; • მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების წარმოებისათვის ხელსაყრელი გარემო; • ხეზე რეწვის ისტორიული ტრადიციები; • სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის მოქმედი ფინანსური დახმარება; • მოსახლეობა მთლიანად უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდებით; • მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას უწყვეტად მიეწოდება სასმელი წყალი; • სახელმწიფო დაფინანსებით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის გაზიფიცირების პროექტი; • მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის 85% და კერძო საწარმოები სარგებლობენ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისით; • კულტურის და სპორტის ობიექტების ხელმისაწვდომობა;	• სოფლებში კერძო საცხოვრებელი სახლების ნაწილი მოძველებული, საჭიროებს სახურავების შეცვლას და რემონტს. მცირეა ავარიული სახლები; • მოუწესრიგებელია წყლის მაგისტრალზე მფილტრავი სისტემები და კანალიზაცია; • მკაცრი კლიმატური პირობები, ზამთრობით გზებზე გადაადგილების შეზღუდვები; • მოსახლეობას არ მიეწოდება ბუნებრივი აირი; • მოძველებულია კულტურული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სუსტია დასაქმებულთა პროფესიული დონე; • აფთიაქები ძირითადად კონცენტრირებულია დაბა ქედაში 5 აფთიაქია, თემებში მხოლოდ ორი; • ელექტროენერგიის მიწოდებაზე დენის გენერაციის ახლომდებარე მოსახლეობისათვის შეღავათების არარსებობა; • მინერალური წყლების დებეტის სიმცირე, გეოგრაფიული სირთულეების გამო ბუნებრივი წყლის რესურსებზე ხელმიუწვდომლობა; • ჩანჩქერების სანახაობრივად და დასვენების ადგილებად გამოყენების დაბალი მაჩვენებელი; • ისტორიული ნაგებობების ფიზიკურად რთული მდგომარეობა, საკურორტო ადგილები არ არის ათვისებული; • ეროზირებული ნიადაგები, მეწყრული პროცესები, რომლებიც ამცირებს ნაყოფიერი მიწების დამუშავების შესაძლებლობას; • პროფესიული ცოდნის დაბალი დონე შრომისუნარიან მოსახლეობაში; • მოსახლეობის სიმჭიდროვის მკვეთრი სხვაობა დასახლებულ უბნებს შორის,

• სასკოლო და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა; • მეფუტკრეობის განვითარებისათვის არსებული გარემო პირობები, ფოთლოვანი ტყეები, მთის ყვავილოვანი მცენარეები, საშუალო ტემპერატურით და სინესტით გამორჩეული ჰავა; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, სასოფლო გზები, სოფლის ცენტრებამდე ასფალტის ან ბეტონის საფარიანია; • ათვისებული სასმელი წყლის რესურსები, აბონენტთა უმრავლესობის მომარაგება უწყვეტი სასმელი წყლით; • მოწესრიგებული გარე განათების სისტემები დაბასა და სოფლებში; • კეთილმოწყობილი გარემო დაბისა და თემის ცენტრებში. განახლებული შენობები, ტერიტორიები, ღობეები, დამცავი კედლები, საფეხმავლო ბილიკები და სხვა; • საკაბელო ინტერნეტმომსახურების დანერგვა დაბაში, საჯარო სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებში; • ფიჭური კავშირგაბმულობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სრულყოფილად დაფარვა; • ელექტრომომარაგების ქსელით აბონენტთათვის დენის უწყვეტი მიწოდება, გამრიცხველიანების სრულყოფა, ელექტროენერგიის საფასურზე მთის კანონით გათვალისწინებული შეღავათები; • დაბის მოსახლეობისათვის ადაპტირებული ტრანსპორტით უფასოდ მომსახურება; • წყლის რესურსების დებეტის შესაბამისად სარწყავი სისტემების არსებობა, რწყვის სისტემების უფასო სერვისის მიწოდება ფერმერებზე; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და ბუნებრივი სანახაობების მრავალფეროვნება; • ტურიზმის სფეროში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა, საოჯახო ტურიზმის სფეროში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა, საოჯახო ასტუმროების, ღვინის მარნების, ტურისტთა დასაბინავებლად ხის კოტეჯების, შატოების ახლადშექმნილი ინფრასტრუქტურა;	რაც მათი მიგრაციის ძირითადი პირობაა მჭიდროს დასახლებული სოფლებიდან; • მოსახლეობის შრომისუნარიანი ფენის არასრულყოფილი დასაქმება; თანამედროვე პროფესიების მქონე ძალთა დეფიციტი; • ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის კვლევების შედეგებისა და დასკვნების არარსებობა; • მინი ტრაქტორები და სახნავი ტექნიკის არასრული მარაგი; • ისტორიული ნაგებობების რთული ფიზიკური მდგომარეობა. ინფრასრუქტურის არასრულყოფა; • მარშრუტებისა და საინფორმაციო ცენტრის ნაკლები რაოდენობა; • წარმოების გამართვისათვის საჭირო შესაფერისი მიწის ნაკვეთის სიმცირე; • კულტურული და სპორტული ობიექტების არასრულყოფილი მატერიალური ბაზა; • არასაკმარისი ინტერესის გამოხატვა ახალგაზრდობაში ტრადიციული კულტურის ნიმუშებისადმი; • სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაწილი მოქცეულია ტყის ფონდში და არ რეგისტრირდება მფლობელებზე; • მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზრის არასტაბილური და დაბალი ფასები; • საძოვრების სიმცირე, მკაცრი ზამთრის პირობები შემაფერხებელია მეცხოველეობის განვითარებისათვის; • არასტაბილური მოსავლიანობა წლების მიხედვით; • მუშახელის არაკვალიფიციურობა • ფერმერთა გამოცდილების არარსებობა კენკროვანთა მოვლის საქმეში; • მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა, გაზრდილი სამგზავრო ფასები; • სარწყავი არხების არამდგრადობა, სტიქიური მოვლენების შედეგად ხშირი დაზიანება;

• მოტივირებული ახალგაზრდობა, მათი ჩართულობა ახალგაზრდულ და სპორტულ აქტივობებში; • არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და კულტურის ობიექტები, ტერიტორიულად ხელმისაწვდომობა; • მუნიციპალიტეტის ოჯახებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების დაბალი მაჩვენებელი; • საზოგადოებრივ ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაში ქალთა ჩართულობის ზრდადი მაჩვენებელი	• საკაბელო ინტერნეტით მომსახურების არარსებობა მუნიციპალიტეტის სოფლებში; • მოძველებული ელექტრო ბოძები, ზამთრის თოვლიანი პირობებისათვის არამდგრადობა და ავარიული გამორთვები;
შესაძლებლობები	**საფრთეები**
• მზარდი საბიუჯეტო შემოსავლები • შედეგებზე ორიენტირებული მართვის სისტემა • საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება • გრანტები და ტრანსფერები • მოზიდული ინვესტიციები • მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ინტეგრაცია ქალაქთან • მინერალური და სამკურნალო წყლის რესურსების ათვისება • მდიდარი მერისის მადნეულის ათვისება • ტურისტული მარშრუტების გამრავალფეროვნება • ტურისტული ნაკადის მზარდი დინამიკა • ტურისტული დასასვენებელი ახალი კერების შექმნა • მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მარკეტინგი • მთის კანონის მოქმედების პერიოდში ინვესტორთა დაინტერესება ადგილობრივი წარმოებით • მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მზარდი დინამიკა • ინვესტორთა დაინტერესება ტურისტული ბაზის განვითარების, წყლის და წიაღისეული რესურსების ათვისებით; • ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, თაფლი, ღვინო	• კლიმატური ცვლილება • ეროზიული მოვლენები • მეწყრული პროცესსები • საერთაშორისო იმიჯის რყევა • სახელმწიფო პრიორიტეტის ცვლილება • ენერგომატარებლების გაძვირება • გარე კონკურენცია სხვა რეგიონებსა და სახელმწიფოს მხრიდან • საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში • მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი • ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა • მასიური სტიქიური მოვლენები • სოფლის მეურნეობაში მცენარეთა და შინაურ ცხოველთა მასიური დაავადებები • ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი • დემოგრაფიული ფონის მკვეთრი ცვლილება

2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

2.1. ხედვა

ქედის მუნიციპალიტეტში შექმნილია საინტერესო და მიმზიდველი გარემო საცხოვრებლად და ბიზნესის საწარმოებლად.

2.2. მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

ამოცანა 1.1. მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი გაუმჯობესება

ამოცანა 1.2. ხარისხიანი სასმელი წყლით მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემის და სარწყავი არხების მოწყობა

ამოცანა 1.3. დასასვენებელი ადგილებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

ამოცანა 1.4. მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა

მიზანი 2. გარემოს დაცვა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება

ამოცანა 2.1. ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება

ამოცანა 2.2. მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

მიზანი 3. ჯანდაცვა და სოციალური გარემოს გაუმჯობესება

ამოცანა 3.1. ჯანდაცვისა პროგრამების გაუმჯობესება

ამოცანა 3.2. სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების გაუმჯობესება

მიზანი 4. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა

ამოცანა 4.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

ამოცანა 4.2. ახალგაზრდების ხელშეწყობა და წახალისება

ამოცანა 4.3. კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 5. ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობა ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობა

ამოცანა 5.1. ელექტრონული მმართველობის განვითარება და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა 5.2. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

2.3. ლოგიკური ჩარჩო

ხედვა	ქედის მუნიციპალიტეტში შექმნილია საინტერესო და მიმზიდველი გარემო საცხოვრებლად და ბიზნესის საწარმოებლად.					
მიზანი 1:	მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
გავლენის ინდიკატორი 1.1:	რეაბილიტირებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის წილი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge
		მაჩვენებელი	60%	70%	80%	
ამოცანა 1.1:	მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურის წილი მყარსაფარიანი გზების საერთო რაოდენობაში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge http://adjara.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	80%	85%	90%	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; სამუშაო ჩაბარების ვადების დაგვიანება					
ამოცანა 1.2:	ხარისხიანი სასმელი წყლით მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემის და სარწყავი არხების მოწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:	მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც წყალმომარაგების სისტემით მიწოდებული სასმელი წყლით სარგებლობს		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge http://adjara.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	10 000	12 000	14 000	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; სამუშაო ჩაბარების ვადების დაგვიანება					
ამოცანა 1.3:	დასასვენებელი ადგილებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1:	დასახლებული ობიექტების რაოდენობა, სადაც მოწყობილია გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	4	6	8	
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა; სამუშაო ჩაბარების ვადების დაგვიანება					

ამოცანა 1.4:	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1:	ტრანსპორტის მომსახურების დაფინანსების მოცულობის ზრდა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge
		მაჩვენებელი	230 000 ლარი	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა					
მიზანი 2:	**გარემოს დაცვა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება**			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 13. კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები; მიზანი 15. დედამიწის ეკოსისტემები
გავლენის ინდიკატორი 2.1:	გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების დაფინანსების მოცულობის ზრდა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	1 581 150 ლარი	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	
ამოცანა 2.1:	ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1:	მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების წილი, სადაც ხელმისაწვდომია ნარჩენების მართვის სერვისი		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	90%	92%	95%	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 2.2:	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1:	მეწყერის რისკების შემცირება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	შემცირებულია მეწყერით გამოწვეული ზიანის	შემცირებულია მეწყერით გამოწვეული ზიანის ოდენობა	შემცირებულია მეწყერით გამოწვეული ზიანის ოდენობა	

			ოდენობა			
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა; სტიქიის მასშტაბი					
მიზანი 3:	ჯანდაცვა და სოციალური გარემოს გაუმჯობესება			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი1. არ სიღარიბეს მიზანი 2. შიმშილის აღმოფხვრა მიზანი 3. ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა
გავლენის ინდიკატორი 3.1:	ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების დაფინანსების წილის ზრდა მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	9,2%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	
ამოცანა 3.1:	ჯანდაცვისა პროგრამების გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1:	ჯანდაცვის სერვისების დაფინანსების წილი მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	3,7%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა; სამიზნე აუდიტორიის დაბალი ჩართულობა					
ამოცანა 3.2:	სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1:	სოციალური პროგრამების დაფინანსების წილი მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	5,5%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა; სამიზნე აუდიტორიის დაბალი ჩართულობა					
მიზანი 4:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 4. ხარისხიანი განათლება მიზანი 5. გენდერული თანასწორობამიზანი 10. შემცირებული უთანასწორობა
გავლენის ინდიკატორი 4.1:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის დაფინანსების წილის ზრდა მთლიან ბიუჯეტში		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	26%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	
ამოცანა 4.1:	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა					

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1:	სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	15 საბავშვო ბაღი; 490 აღსაზრდელი	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 4.2:	ახალგაზრდების ხელშეწყობა და წახალისება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1:	პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	790 ახალგაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა; სამიზნე აუდიტორიის დაბალი ჩართულობა					
ამოცანა 4.3:	კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1:	ჩატარებული სპორტული და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	https://keda.gov.ge მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
		მაჩვენებელი	55	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა; სამიზნე აუდიტორიის დაბალი ჩართულობა					
მიზანი 5:	ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობა			**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SGDs) კავშირი**		მიზანი 5. გენდერული თანასწორობა მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
გავლენის ინდიკატორი 5.1:	LSG ინდექსში მუნიციპალიტეტის პოზიციის გაუმჯობესება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	http://www.lsgindex.org
		მაჩვენებელი	29%; 34 ადგილი	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	პოზიციის და შედეგის გაუმჯობესება	
ამოცანა 5.1:	ელექტრონული მმართველობის განვითარება და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1:	LSG ინდექსში ელექტორნული მმართველობის (EG) ინდექსის გაუმჯობესება		**საბაზისო**	**სამიზნე**		**დადასტურების წყარო**
				შუალედური	**საბოლოო**	
		წელი	2023	2025	2027	http://www.lsgindex.org https://keda.gov.ge
		მაჩვენებელი	24%	შედეგის გაუმჯობესება	შედეგის გაუმჯობესება	
რისკი	ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა					
ამოცანა 6.2:	მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში					

<table>
<tr><td></td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td rowspan="3">ამოცანის შედეგის ინდიკატორი 6.2.1:</td><td rowspan="3">მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება (PA ინდექსი) ინდექსის გაუმჯობესება</td><td></td><td rowspan="2">საბაზისო</td><td colspan="2">სამიზნე</td><td rowspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td></td><td>შუალედური</td><td>საბოლოო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2023</td><td>2025</td><td>2027</td><td rowspan="2">https://keda.gov.ge
http://www.lsgindex.org</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>26%;</td><td>შედეგის გაუმჯობესება</td><td>შედეგის გაუმჯობესება</td></tr>
<tr><td>რისკი</td><td colspan="6">ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა</td></tr>
</table>

3. დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილია მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში, ასევე სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

3.1. დოკუმენტის განხორციელება

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- ✓ **გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან** - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მმართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია;
- ✓ **პარტნიორობა** - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს, ეს იქნება თავად ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი თუ სხვა, აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას;

- ✓ **კანონიერების პრინციპი** - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მმართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს.

2 წლის შემდეგ განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე, და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძიების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

3.2. მონიტორინგი და შეფასება განვითარების დოკუმენტით

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ სვლის შესაფასებლად პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის გათვალისწინება. გეგმის მონიტორინგი განხორცილდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეთვალყურეობას დროულად ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

მონიტორინგის მონაცემების რეგულარული გაანალიზება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი პროგრამული ცვლილებები სამოქმედო გეგმის საერთო განხორციელებისა და მიზნის მიღწევის პროცესიის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, საჭიროების შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები მომზადდება შემდეგი პრინციპებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვით:

დროულობა - ანგარიშები მომზადდება დროულად, პერიოდის შერჩევა მოხდება საბიუჯეტო პროცესისა და კალენდრის გათვალისწინებით.

ფოკუსირებული - ანგარიშებში წარმოდგენილი იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, კონკრეტულ პრიორიტეტებსა და აქტივობებთან დაკავშირებული მიღწევები, შესაბამისი ინდიკატორებითა და მაჩვენებლებით.

მკითხველზე ორიენტირებული - ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მომხმარებლისთვის გასაგებ და ადვილად აღქმადი ინსტრუმენტებით, დოკუმენტი იქნება მარტივად კითხვადი და აღსაქმელი.

რელევანტური - ანგარიშგება მოხდება მხოლოდ რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტისთვის არარელევანტური იქნება ყოველდღიური ადმინისტრაციული ხასიათის ინფორმაციისა და აქტივობების შესახებ დეტალების აღწერა/წარმოდგენა, რაც არ სძენს დოკუმენტს დამატებით ღირებულებას, და ნაკლებად საინტერესოა საზოგადოებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლება მიესალმება საზოგადოების ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის ჩართულობას, რაც მეტად ეფექტიანს გახდის ამ პროცესს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილიც, პირველი წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით. შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

შედეგად განხორციელდება:

- შედეგებისა და გავლენის შეფასება მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საშუალო და გრძელვადიანი პერიოდზე;
- გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ამაღლება;

- რესურსების ეფექტიანი განაწილების ხელშეწყობა მიზნებსა თუ მიზნობრივ პროგრამებს შორის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდება:

- რამდენად წარმატებით მოხდა იმ სასურველი შედეგის დადგომა რაც მიზნებსა და ამოცანებში არის ასახული; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით;
- რამდენად წარმატებით მოხდა იმ პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადაწყვეტა რაც მიზნებსა და ამოცანებში იყო წარმოდგენილი; ან რამდენად არის პროგრესი მათი გადაწყვეტის მიმართულებით.

4. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების მიზნით რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის წევრები, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული პირები.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეხვედრების დროს განიხილეს შემდეგი საკითხები: მუნიციპალიტეტის სიტუაციის ანალიზი, ზოგადი მახასიათებელი, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, კულტურის განათლებისა და სპორტის ჭრილში. ჯგუფის წევრებმა ერთობლივი მსჯელობის შედეგად განსაზღვრეს ქედის მუნიციპალიტეტის ამოცანები და მიზნები, შეიმუშავეს მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რამაც გამოკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა შეხვედრები, სადაც განიხილეს ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლებში განსახორციელებელი აქტივობების სამოქმედო გეგმა და ლოგიკური ჩარჩო.

შეხვედრები ასევე გაიმართა ფოკუს ჯგუფებთან კერძოდ, მუნიციპალიტეტში მოქმედი საბჭოების წევრებთან, სადაც გამოიკვეთა და გამოვლინდა ქედის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის სამომავლო მიზნები და ამოცანები, მათ მისაღწევად განსაზღვრული აქტივობები და ინდიკატორები.

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების მოთხოვნათა შესრულება და მუნიციპალიტეტის მიერ სამოქმედო შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება ადგილობრივ დონეზე.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება.

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ასახავს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და გეგმებს, რომელიც არსებული სიტუაციის ანალიზს, რესურსულ შესაძლებლობებს ეფუძნება და მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და გაუმჯობესებული ინკლიზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობის დანერგვისკენ.

ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე: მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მერის სამოქალაქო და ახლგაზრდულ მრჩეველთა საბჭოები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და სხვ.

სამუშაო შეხვედრებზე ერთობლივი მსჯელობის შედეგად შემუშავდა მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რამაც გამოკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღნიშნულის შედეგად, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიზნები და შესაბამისი ამოცანები.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირი და მოსაზრებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფენ მერიის სტრუქტურული ერთეულები და მმართველობის სფეროში შემავალი სხვა დაწესებულებები.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ქედის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა საკითხების, რომლებიც დეტალურად გადმოცემულია განკარგულების პროექტზე თანდართულ დანართში.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით ფინანსური დასაბუთება და გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი ასახულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმაში.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (სამსახურის უფროსი ს. ბოლქვაძე).

ე) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2024 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- თებერვალი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის -- თებერვალი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2024 წლის -- თებერვალს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2024 წლის -- თებერვალს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2024 წლის -- თებერვალი.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2024 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016221) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-4 მუხლს დაემატოს „მუხლი 4¹“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4¹. აპარატის შემადგენლობა

საკრებულოს პროფესიული საჯარო მოხელეებია:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი;

ბ) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - აპარატის უფროსის მოადგილე;

გ) მეორადი სტრუქტურული ერთეულს ხელმძღვანელი - განყოფილების უფროს(ებ)ი;

დ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტ(ებ)ი.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. აპარატის სტრუქტურა

1. აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

ბ) საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება;

გ) საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

2. აპარატის შემადგენლობაში შედის ასევე:

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში.“

დადგენილებით დამტკიცებული დებულების III თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III
აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები

მუხლი 6. იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმებასა და რედაქტირებას;

ბ) უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებისა და აღსრულების პროცედურულ საკითხთა შესრულებას;

გ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების კოდიფიკაციას და სისტემატიზაციას, აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული სამართლებრივი აქტების გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ;

დ) უწევს მეთოდურ დახმარებას საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს სამუშაო ჯგუფებს და საკრებულოს წევრებს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;

ე) უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე შესაბამისი თანამდებობის პირთა დროულ ინფორმირებას;

ვ) წარმოადგენს და იცავს თვითმმართველი ერთეულის (საკრებულოს) ინტერესებს სასამართლოში;

ზ) უზრუნველყოფს სხდომაზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამის პროგრამაში ატვირთვასა და გამოსაქვეყნებლად გადაგზავნას;

თ) საკრებულოს ორგანოების სამუშაო გეგმების საფუძველზე ამზადებს საკრებულოს წლიურ სამუშაო გეგმის პროექტს;

ი) უზრუნველყოფს აპარატის საჯარო მოსამსახურეების საკადრო დოკუმენტების (პირადი საქმეების) აღრიცხვასა და გაფორმებას;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება

საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება:

ა) ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის თათბირებისა და შეხვედრების ჩატარებას;

ბ) ხელს უწყობს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, სხვადასხვა ინსტანციებში გასაგზავნი წერილობითი მიმართვების პროექტებს;

გ) უზრუნველყოფს ოფიციალური დელეგაციების მიღებას საკრებულოში და საკრებულოს მიერ ოფიციალური დელეგაციების მივლინებას;

დ) ორგანიზაციას უწევს სხდომებზე მოწვეულ პირთა გაფრთხილებას და მოწვევას, ახდენს მათ რეგისტრაციას;

ე) ორგანიზებას უწევს სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მასალების გამრავლებას და დარიგებას;

ვ) ორგანიზაციულ დახმარებას უწევს საკრებულოს წევრებს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;

ზ) ახდენს ინიცირების წესით შემოსულ საკითხთა რეგისტრაციას;

თ) ორგანიზებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების, თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

ი) ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობას, უზრუნველყოფს საკრებულოს თანამდებობის პირებთან და საკრებულოს წევრებთან მოქალაქეთა მიღების ორგანიზებას, შესაბამისი მასალების მომზადებას, დავალებათა აღრიცხვას და კონტროლს მათ შესრულებაზე;

კ) უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფების სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას, სხდომის ოქმების წარმოებას, სხდომაზე დამსწრე პირთა რეგისტრაციას, სხდომებზე წესრიგის დაცვის ორგანიზებას, კენჭისყრის პროცედურის ჩატარებას, კენჭისყრისას ხმების დათვლას;

ლ) იღებს, რეგისტრაციაში ატარებს და აღრიცხავს საკრებულოს თავმჯდომარის და სხვა თანამდებობის პირების სახელზე შემოსულ კორესპონდენციას, ახდენს მის ანალიზს და სისტემატიზაციას;

მ) უზრუნველყოფს გასული კორესპონდენციის დაკონვერტებას, გატარებას და ადრესატისათვის ფოსტით გაგზავნას;

ნ) აფორმებს და აღრიცხავს მიღებულ დოკუმენტებზე საკრებულოს თავმჯდომარის და სხვა თანამდებობის პირების დავალებებს და გადასცემს მათ შემსრულებლებს;

ო) აწარმოებს საკრებულოს თანამშრომელთა შეკითხვების (მიმართვების) აღრიცხვას და უზრუნველყოფს კონტროლს პასუხების დროულად მიღებაზე;

პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7[1]. საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:

ა) საკრებულოს კომისიებისათვის უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) საკრებულოს კომისიების სახელზე შემოსულ კორესპონდენციების განხილვა, ანალიზი და ანოტაციის გაკეთება;

გ) თავმჯდომარის მიერ საკრებულოს კომისიებზე გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების მიღება და საკრებულოს კომისიებისათვის მიწოდება;

დ) საკრებულოს კომისიების საინფორმაციო-ანალიტიკური მასალით უზრუნველყოფა ცალკეულ დარგებში მიმდინარე მუშაობის, შექმნილი მდგომარეობისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

ე) ხელს უწყობს და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს საკრებულოს კომისიების მიერ, სხვადასხვა ინსტანციებში გასაგზავნი წერილობითი მიმართვების პროექტებს;

ვ) საკრებულოს კომისიების სხდომების ჩატარების ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფა;

ზ) საკრებულოს, ბიუროს და საკრებულოს კომისიების მასალების შესწავლა;

თ) საკრებულოში კომისიებში შემოსული საჯარო ინფორმაციის დროულად დამუშავება და მიწოდება, ასევე მისი შესრულების მდგომარეობის კონტროლი;

ი) ორგანიზაციის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო სტრატეგიების დაგეგმა და განხორციელება;

კ) განყოფილების სამუშაო გეგმებით და ხელმძღვანელი პირების ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა და კრიზისული სიტუაციების მართვაში მონაწილეობა;

ლ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდის ადმინისტრირება, ინგლისურ ენოვანი გვერდის თარგმნა, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნება; საველე ინფორმაციის მოძიება; ფოტომასალის დახარისხება; სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავება და მონაცემთა ბაზების შექმნა/პრეს-დაიჯესტის მომზადება;

მ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების/თანამდებობის პირების საქმიანი შეხვედრების ორგანიზებაში მონაწილეობა, საზოგადოებასა და საკრებულოს კოორდინირებული მუშაობა. მესიჯბოქსის, სატელეფონო და საინფორმაციო ბაზების შექმნა.

ნ) უზრუნველყოფს საკრებულოს საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას;

ო) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადებას;

პ) უზრუნველყოფს დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აპარატის დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. “

3. დადგენილებით დამტკიცებული დებულების IV თავის მე-8 მუხლს დაემატოს „მუხლი 8[1]“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8[1]. აპარატის უფროსის მოადგილე

1. აპარატის უფროსს აპარატის გამართული ფუნქციონირების მიზნით ყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აპარატის უფროსის მოადგილე:

ა) აპარატის უფროსის მოადგილე ზედამხედველობს აპარატის სტრუქტურული ერთეულის, აპარატის საჯარო მოხელეთა სამუშაო გეგმების შესრულებას და სამართლებრივი საკითხებისა და დოკუმენტაციის წარმოების პროცესს;

ბ) აპარატის უფროსს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

გ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას;

დ) აპარატის უფროსის დავალებით კოორდინაციას უწევს სხდომების ორგანიზებასა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

ე) უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე კონტროლს;

ვ) უზრუნველყოფს საკრებულოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მომზადებას;

ზ) ასრულებს საკრებულოს თანამდებობის პირთა ცალკეულ დავალებებს;

თ) აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

3. აპარატის უფროსის მოადგილე ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

4. აპარატის უფროსის მოადგილის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს აპარატის უფროსი.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი
,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილება, რის საფუძველზეც მიზანშეწონილია ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

კერძოდ, **დებულების II თავის მე-4 მუხლს ემატება შემდეგი შინაარის „მუხლი 4¹“:**

„მუხლი 4¹. აპარატის შემადგენლობა

საკრებულოს პროფესიული საჯარო მოხელეებია:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი;

ბ) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - აპარატის უფროსის მოადგილე;

გ) მეორადი სტრუქტურული ერთეულს ხელმძღვანელი - განყოფილების უფროს(ებ)ი;

დ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტ(ებ)ი.“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №01-06/19 მორიგ სხდომაზე ახალი რედაქციით დამტკიცდა საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, სადაც პროფესიულ საჯარო მოხელეებს დაემატება კიდევ ერთი ვაკანტური თანმდებობა - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსის მოადგილე, ვინაიდან დღეს არსებულ აპარატის დებულების რედაქციაში არ არის ზუსტი დასახელება და თანმიმდევრობა საკრებულოს პროფესიული საჯარო მოხელეებისა, მიზანშეწონილია II თავის მე-4 მუხლს დაემატოს ზემოთ დასახელებული პრიმა მუხლი, რომელიც დააზუსტებს პროფესიული საჯარო მოხელეთა თანმიმდევრობას საკრებულოში, საკრებულოს აპარატის მოადგილის შტატის დამატებასთან ერთად.

ასევე, ცვლილება შედის **დებულების II თავის მე-5 მუხლში და ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ:**

„მუხლი 5. აპარატის სტრუქტურა

1. აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

ბ) საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება;

გ) საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

2. აპარატის შემადგენლობაში შედის ასევე:

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში.“

ამ ცვლილებასაც განაპირობებს საშტატო ნუსხაში საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ვაკანტური განყოფილების დამატება, რომელიც თავისთავში აერთიანებს განყოფილების უფროსის ერთ ვაკატურ თანამდებობას, ოთხი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობას საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში და ასევე, ერთ ვაკანტურ თანამდებობას - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ვინაიდან პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში არსებული ვაკანტური პოზიცია დაექვემდებარა ზემოთ დასახელებულ ვაკანტურ განყოფილებას, მიზანშეწონილია მოქმედ რედაქციაში ამ თანამდებობის ამოღება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტიდან და გადატანა აპარატის დებულების II თავის მე-5 მუხლში, რომელიც ჩამოყალიბდება განახლებული რედაქციით.

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების გამოცხადებისა და დასახელებული განყოფილების დაკომპლექტების შემდეგ, აღნიშნული დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მე-5 მუხლიდან ამოღებული იქნება მე-2 პუნქტი.

აპარატის დებულებაში მე-3 ცვლილება უკავშირდება III თავს, აპარატის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციებს, რომელშიც წარმოდგენილია საკრებულოს აპარატის განყოფილებები. ვინაიდან აქამდე საკრებულოს აპარატში არსებობდა ორი განყოფილება, აპარატის დებულებაში მიზანშეწონილია დამატებული იქნეს ზემოთ დასახელებული ვაკანტური (დღევანდელი მოცემულობით) განყოფილება და III თავი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომელშიც საქმისწარმოებისა და საორგანოზაციო განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებიდან ამოღებულ იქნა ფუნქცია-მოვალეობები: ,,უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას“ და გადატანილი იქნა საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქცია-მოვალეობებში. ხოლო შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები: ,,უზრუნველყოფს საკრებულოს საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას; უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადებას; უზრუნველყოფს დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებას;“ - გატანილი იქნა საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებში.

დებულებაში წარმოდგენილი მე-4 ცვლილებით დამატებული იქნა კიდევ ერთი პრიმა მუხლი, რომელიც ეხება აპარატის უფროსის მოადგილის შტატს და გაიწერა აპარატის უფროსის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები:

„მუხლი 8[1]. აპარატის უფროსის მოადგილე

1. აპარატის უფროსს აპარატის გამართული ფუნქციონირების მიზნით ყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. აპარატის უფროსის მოადგილე:

ა) აპარატის უფროსის მოადგილე ზედამხედველობს აპარატის სტრუქტურული ერთეულის, აპარატის საჯარო მოხელეთა სამუშაო გეგმების შესრულებას და სამართლებრივი საკითხებისა და დოკუმენტაციის წარმოების პროცესს;

ბ) აპარატის უფროსს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

გ) უზრუნველყოფს საკრებულოს წევრთა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურ გამოყენებას;

დ) აპარატის უფროსის დავალებით კოორდინაციას უწევს სხდომების ორგანიზებასა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

ე) უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე კონტროლს;

ვ) უზრუნველყოფს საკრებულოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მომზადებას;

ზ) ასრულებს საკრებულოს თანამდებობის პირთა ცალკეულ დავალებებს;

თ) აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

3. აპარატის უფროსის მოადგილე ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

4. აპარატის უფროსის მოადგილის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს აპარატის უფროსი.“

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატული აქტის მიღების ძირითადი მიზანია ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, რათა სამართლებრივად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნული დებულება.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები, აქედან გამომდინარე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, განხორციელდა აღნიშნულ დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოდგენილია დადგენილების პირველი მუხლით.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი 114 380,00 ლარის გამოყოფას მომდევნო 10 თვის განმავლობაში.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე,

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან ცინცაძე.

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № --

2024 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის
სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტლიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2024 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
3	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის 2023 წლის მეოთხე კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის 2023 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2023 წლის მუშაობის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	სამსახურის უფროსი
6	მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მუშაობის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	სამსახურის უფროსი
7	შპს „ქედის კომუნალურ სერვისი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის კომუნალურ სერვისი“-ს დირექტორი
8	2023 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორცილებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შესყიდვების განყოფილების უფროსი
9	შპს „ქედის წყალკანალი“-ს 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
10	2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის დირექტორი

11	2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის დირექტორი
12	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ქონების მართვის განყოფილების უფროსი